ოზურგეთის მერია ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მსოფლიო კამპანიას შეუერთდა!

კამპანიის ფარგლებში საჯარო ლექცია – „ბრძოლა თანასწორობისთვის: ქალთა უფლებების ისტორიული და თანამედროვე ასპექტები“ გაიმართა, რომელსაც მოწვეული ექსპერტი, **ელენე ბერიაშვილი** უძ-ვებოდა. კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრში გამართულ შეხვედრას, ოზურგეთის მერის მოადგილე, **ნათია გოლიაძე,** მოქალაქეებთან ერთად დაესწრო.

28 ნოემბერს, ოზურგეთის ტექნოპარკში ჩატარდა ლექცია თემაზე – „კიბერძალადობა.“

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 28 (10464) 30 ნოემბერი, 2023 წ. ფასი 80 თეთრი.

საშემოდგომო გამოფენის ფერთა ფერადოვნება ოზურგეთს

ალიონი. გურიის რეგიონის მხატვართა ნამუშევრების საშემოდგომო გამოფენა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის თანამედროვე სახვითი ხელოვნების ცენტრში, მიმდინარე წლის 28 ნოემბერს გაიმართა. გამოფენა, სახვითი ხელოვნების ცენტრისა და გურიის რეგიონის მხატვართა კავშირის ინიციატივითა და ორგანიზებით მოეწყო. აქ წარმოდგენილი იყო გურიის რეგიონის 38 მხატვრის 85 ნამუშევარი, მრავალფეროვანი თემატიკით, შესრულების სხვადასხვა სტილით და მანერით.

გამოყენებული ტექნიკა: ტილო ზეთი; ტილო აკრილი; შერეული ტექნიკა; თექა; მუყაო; სპირტის მელანი, მონოტიპია; გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები; ცვილი.

გამოფენა ტრადიციულად, ხელოვნებათმცოდნე **ლია ურუშაძემ** გახსნა და ისაუბრა მის შინაარსსა და მნიშვნელობაზე. აღნიშნა, რომ განსაკუთრებით მისასალმებელია გამოფენაში ახალგაზრდა მხატვართა მონაწილეობა. სიტყვებით გამოვიდნენ გურიის მხატვართა კავშირის თავმჯდომარე **თამაზ დარჩია, ვახტანგ მამეიშვილი; ავთანდილ თავართქილაძე.** ბატონი ვახტანგის შეფასებით, აქ წარმოდგენილი არ-აერთი თვითნასწავლი მხატვრის ნამუშევრები, არაფრით არ ჩამოუვარდება პროფესიონალ მხატვართა ნამუშევრებს.

ფაქტიურად, ეს არის მხატვართა საანგარიშო საშემოდგომო გამოფენა. შემოდგომის ფერები ლამაზ ფონად ედება ზამთრისა და გაზაფხულის ფერებს და ეს გარდამავალი ხაზები ისეა ერთმანეთთან შეთანაწყობილი, რომ ისინი ერთ დიდ მთლიანობას ქმნიან.

საქართველოს მხატვართა კავშირის მიერ გამოცემულ კატალოგში გურიის რეგიონის არაერთი მხატვრის ნამუშევარია შეტანილი. კატალოგი, მონაწილე მხატვრებს საჩუქრად გადაეცათ.

კომპანია „პოლატი“ მდინარე ნატანების ხეობაში წელსაც მილიონ კუბურ მეტრ ინერტულ მასალას ამოიღებს

ალიონი. – *კომპანია „პოლატის“ მიერ ინერტული მასალების შავიზღვისპირა 20-კილომეტრიან ზოლში ვანდალური მოპოვების შედეგად 1,7 ჰექტარი მიწა დავკარგე, აქედან 0,7 ჰექტარზე პავლონია და კაკალი მქონდა გაშენებული. ამჟამად მიყენებული ზარალი 100 000 ლარამდე იქნება,* – გვითხრა სოფელ გურიანთაში მცხოვრებმა, ცნობილმა ფერმერმა **აკაკი ღლონტმა.**

აკაკი ღლონტის ფართობი ახლოსაა ცენტრალური მაგისტრალური გაზსადენის ქობულეთის განშტოებასთან, რომელიც აქ მდინარე ნატანებს კვეთს და ლაითურის გავლით ქობულეთისკენ მიემართება. არც ამ გაზსადენს ადგას კარგი დღე. გურიანთის მხარეს მოწყობილი კაპიტალური ყორე, რომელმაც იგი უნდა დაიცვას მდინარის შემოტევიდან, ნაწილობრივ ჩამოშლილია. არც გასხვისების ზონაა (25 მეტრი) დაცული და გაზსადენის საყრდენი ბოძები გაშიშვლებულია. „პოლატი“ პირდაპირი გეზით მდინარის ხეობის გაყოლებით ოზურგეთისკენ მიიწევს.

როგორც არაერთხელ ვწერდით, (http://alion.ge-/2022/-02/საბრძოლო-პოლიგონად-ქცეულ/) ხელისუფლებამ ერთობლივი საწარმო „POLAT YOL &MAPA“ უფლება მისცა ზღვიდან 20 კილომეტრიან ზოლში, მდინარე ნატანებზე, ლიცენზიის გარეშეც მოიპოვოს წიაღი. ამისთვის 2020 წლის 4 სექტემბერს. სასწრაფოდ შევიდა ცვლილებები 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებაში „სასარგებლო წიაღის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების“ .

„პოლატმა“ შარშან აპრილიდან დაწყებული სექტემბრის თვის ჩათვლით, მდინარის ხეობაში ერთი მილიონი კუბური მეტრი ინერტული მასალა ამოიღო. სამტრედია-ქობულეთი-სარფის ავტომაგისტრალის მშენებლობა გრძელდება და „პოლატი“ წელსაც აგრძელებს მეორე მილიონი კუბური მეტრი ინერტული მასალის ამოღებას, თუმცა **არ თვლის საჭიროდ მედიას და გარემოსდამცველებს შესაბამისი ნებართვა აჩვენოს.** უშუალოდ მდინარიდან ინერტული მასალის ამოღება ყოველივე დადგენილი წესების დარღვევით რომ ხდება, ამას მოწმობს თუნდაც რამდენიმე დღის წინ, პატრულის მიერ კახურის ტერიტორიაზე გაჩერებული ინერტული მასალით დატვირთული სატვირთოების დიდი კოლონა.

ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ კონკრეტულ ლოკაციაზე წიაღის მომპოვებლები დადგენილ ნორმაზე გაცილებით ქვემოთ ჩავიდნენ, მდინარის ფსკერს მიადგნენ და ტალახიანი ხრეშით დატვირთული ავტომაქანები ოზურგეთი-ნატანების მაგისტრალს ისე აბინძურებდნენ, რომ ავტოცისტერნის წლის ჭავლი ვერ უმკლავდებოდა მასიურ ტალახს და მაგისტრალზე მოძრავ ტრანსპორტს უქმნიდა საფრთხეს.

სამწუხაროდ, გაზეთ „ალიონის“ მიერ გაჟღერებულ ამ ფაქტზე გარემოსდამცველების რეაგირების შესახებ ინფორმაციას არ ვფლობთ.

ან რა მნიშვნელობა აქვს, როცა წელს, ივნისის დასაწყისში, როცა მდინარის აუზში ჩამდგარი ექსკავატორები, როგორც ადრე, დაახლოებით 3,5 მეტრი სიღრმიდან იღებდა ინერტულ მასალას. ამას ისიც მოწმობდა, რომ მდინარის პირას დასაწყობებულ ქვაღორღს მიწის ფერი ჰქონდა

გვ–2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 80 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 3,20 ლარი,
სამი თვით – 9,60 ლარი,
6 თვით –16 ლარი,
ერთი წლით – 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

ვეორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 .№44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი თხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ლანჩხუთში მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სხდომათა დარბაზში 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** 2024 წლის ბიუჯეტის პროექტსა და მის ძირითად პარამეტრებზე ისაუბრა. მომავალი წლის ბიუჯეტი 22 მილიონ 755,3 ათას ლარითაა განსაზღვრული.

სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძემ** გაამახვილა ყურადღება. საკრებულოს თანამდებობის პირებმა კი ბიუჯეტის პროექტზე თავიანთი მოსაზრებები წარმოადგინეს.

შეხვედრას ადგილობრივი თვითმმართველობის, მერიისა და საკრებულოს თანამდებობის პირები, საინიციატივო ჯგუფების, ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოს, ადგილობრივი ა(ა)იპ-ების, შპს-ების, მედიის, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

2024 წლის ბიუჯეტის პროექტზე მუშაობა გაგრძელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

101 წლის ცუცა სარჯველაძეს დაბადების დღე მიულოცეს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი** და საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე** სოფელ ღესაში, 101 წლის **ცუცა სარჯველაძეს** ესტუმრა და დაბადების დღე მიულოცა.

მან დიდი მადლობა გადაუხადა სტუმრებს საჩუქრებისა და მილოცვისთვის.

ცუცა სარჯველაძეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამიდან (ხანდაზმულ, 100 და მეტი წლის ასაკის, პირთა დახმარება) ანგარიშზე 1500 ლარი დაერიცხა.

„ქალები ქალებისთვის“ ჩართულობით

საერთაშორისო ასოციაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“, ორგანიზაცია „ქალები ქალებისთვის“ ჩართულობით, ჩოხატაურში მცხოვრებ განსაკუთრებული საჭიროების მქონე 6 ბენეფიციარს ეტლები გადასცა.

მერის პირველი მოადგილე **მაია კუტუბიძე** და ასოციაციის თავმჯდომარე **მაია კვეზერელი-კოპაძე** ბენეფიციართა ოჯახის წევრებს პირადად შეხვდნენ.

ასევე, ასოციაციისგან ჩოხატაურის მთავარმა ბიბლიოთეკამ-წიგნები, საჭამიასერის საბავშვო ბაღმა სათამაშოები და ეზოს ინვენტარი მიიღეს საჩუქრად.

გოგონათა შორის ტაგ რაგბის ფესტივალი გაიმართა

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს რაგბის კავშირის ერთობლივი პროექტის „ჩაერთე რაგბიში 2.0“ ფარგლებში, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბორის პაიჭაძის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გოგონათა შორის ტაგ რაგბის ფესტივალი გაიმართა.

ფესტივალში მონაწილეობდნენ **ჩოხატაურის, ლანჩხუთისა** და **ოზურგეთის** მუნიციპალიტეტების საჯარო და კერძო სკოლების მე-5-მე-6 კლასის მოსწავლეები.

პროექტი მიზნად ისახავს გურიისა და აჭარის რეგიონებში სასკოლო რაგბიში ჩართული ბავშვებისთვის ადგილობრივ სარაგბო კლუბებზე წვდომის უზრუნველყოფას და სპორტის ამ სახეობაში გოგონათა ჩართულობის გაზრდას.

მონაწილეები სპეციალური სიგელებით დაჯილდოვდნენ.

კომპანია „პოლატი“ მდინარე ნატანების ხეობაში წელსაც მილიონ კუბ. ინერტულ მასალას ამოიღებს

და მიწის ნარევიც მაშინაც თვალშისაცემი გახლდათ.

გაზეთ „ალიონის“ და გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკოს“ გამოჩენის შემდეგ სწრაფად წავიდა გადარეკვა-გადმორეკვები და ექსკავატორები მდინარიდან ამოვიდნენ და სწრაფად გაეცალნენ იქაურობას.

ჩვენ ცხელ ხაზზე დავუკავშირდით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, რომლის წარმომადგენლები გარკვეული დროის შემდეგ მოვიდნენ.დეპარტამენტის უფროს სპეციალისტს **ბენო ხომერიკს** ავუხსენით არსებული მდგომარეობა, ვაჩვენეთ გადაღებული ვიდეოები და ფოტოები და ვუთხარით, რომ არც კომპანია „POLAT YOL &MAPA“ არ გვაძლევს ინფორმაციას მათზე გაცემული ლიცენზიის შესახებ, ვინაა ქვეკონტრაქტორები, აქვთ თუ არა წიაღისეულის მოპოვების გეგმა, რა რაოდენობის ინერტული მასალა უნდა ამოიღონ, თუკი სწორად იღებდნენ, რატომ ამოვიდნენ ტრაქტორები მდინარიდან, როცა ჩვენ იქ მივედით და ა.შ.

ბენო ხომერიკმა გვითხრა, რომ წელს ისინი ამ კარიერზე საერთოდ არ შემოსულან... წერილობით შევადგინეთ განცხადების ტექსტი თუ რა სახის ინფორმაციას ვითხოვდით და გვითხრა, რომ კომპანიიდან მათზე დოკუმენტების წარმოდგენამდე კარიერი დროებით შეაჩერებდა მუშაობას, ამის შესახებ აქ მომუშავეებსაც მიეწოდათ ინფორმაცია. კარიერზე მუშაობა დროებით შეჩერდა. ნაწილი დასატვირთად მოსული მძიმეწონიანი ავტომანქანა უკან დაბრუნდა.

ამის შემდეგ გარემოსდამცველები მდინარის აუზში ინერტული მასალების ამოღების სიღრმის გასაზომად გაემართნენ. ჩვენთვის უცნობია, ვისთან ჰქონდათ მათ სატელეფონო საუბარი, თუმცა გარემოსდამცველებმა შემდგომ გვაცნობეს, რომ კარიერს მუშაობა უნდა გაეგრძელებინა...

ამჟამად, ვიზუალური თვალთახედვით და ბატონი აკაკი ღლონტის თქმითაც, მდინარე ნატანების აუზი თანდათან იზრდება სიგანეში და მალე ალბათ რიონის ხეობას გაუტოლდება. „პოლატი“ აკაკი ღლონტის საკარმიდამო ნაკვეთის მსგავსად ექცევა სხვა კერძო მესაკუთრეებს და გარკვეული მეთოდის გამოყენებით მდინარეს მიაქვს სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.

–აქ ადგილობრივი კომპანიებიც მუშაობდნენ ადრე, მაგრამ ისინი საკარმიდამოსთან ახლოს არ მოდიოდნენ და არც შეუქმნიათ ჩემთვის პრობლემა. ახლა კი უწყლობითაც პავლონიის დარჩენილ ნარგაობას გახმობის პროცესი ელოდება –გვითხრა **აკაკი ღლონტმა.**

გაზეთ „ალიონის“ შეკითხვაზე, ჰქონდა თუ არა მას ამ თემაზე საუბარი კომპანია „პოლატის“ წარმომადგენლებთან, აკაკი ღლონტმა გვიპასუხა, რომ იგი ესაუბრა იქ მომუშავე პარმენ ახობაძეს, თუმცა მათგან პასუხი არ მიუღია. **აკაკი ღლონტი მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით პროკურატურას მიმართავს.**

გაზეთი „ალიონი“ ამ თემას კვლავ დაუბრუნდება, ნატანების ხეობაში შექმნილ მდგომარეობის გამო სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები უნდა გააქტიურდნენ.

ნუგზარ ასათიანი

სოფლის ცხოვრება

ბახვი ჰესი

კომპანია ბახვი ჰესი – ჩვენ ვზრუნავთ ადამიანებზე, ბუნებასა და რეგიონის განვითარებაზე

ფერმერებმა ახალი კულტურის გაშენების წინ უნდა ჩაატარონ ნიადაგის აგროქიმიური გამოკვლევები

ნუგზარ ასათიანი, „ალიონი“

ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგის, სურსათისა და მცენარეთა ინტეგრირებული დაცვის დიაგნოსტიკური ცენტრი „ანასეული“-ს დირექტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი **რუსუდან ტაკიძე:**

.– ქალბატონო რუსუდან, ნიადაგის როგორი ტიპები (ზონების მიხედვით) გვხვდება გურიაში?

– სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება უპირატესად ნიადაგზე და მის ნაყოფიერებაზეა დამოკიდებული. ნიადაგი ქვეყნის უპირველესი და შეუცვლელი სიმდიდრეა. საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ, კლიმატურმა პირობებმა და ნიადაგწარმოქმნელმა ქანებმა, ქვეყანაში ყველა ტიპის ნიადაგების გავრცელების შესაძლებლობა შექმნა, დაწყებული,მთა-მდელოდან, დამთავრებული – ჭაობიანი და ტენიანი სუბტროპიკებით. სწორედ ამიტომ, საქართველოს ნიადაგურ მუზეუმსაც უწოდებენ.

სუბტროპიკულ ზონაში ნიადაგების მრავალი სახეობაა გავრცელებული: წითელმიწა, ყვითელმიწა, ეწერი, გაეწრებული წითელმიწები და სხვა. რადგან გურიის ზონის მუნიციპალიტეტები სუპტროპიკულ ზონაში მდებარეობს, მათი ნიადაგური საფარის უმეტესი ნაწილი დაფარულია სუპტროპიკული ეწერებითა და წითელმიწებით.

ოზურგეთი:–წითელმიწა, გაეწრებული წითელმიწა, ეწერი ნიადაგები;

ლანჩხუთი: – ეწერი, ეწერლებიანი ნიადაგები;

ჩოხატაური:–ყვითელმიწა, ტყის ყომრალი, ნეშომპალა კარბონატული ნიადაგები.

წითელმიწა-ნიადაგების დიდი თავისებურება გამოწვეულია ქანების ძლიერი ქიმიური გამოფიტვით, რომელსაც ისინი განიცდიან ტენიანი და თბილი სუბტროპიკული ჰავის ზეგავლენით. მათი გავრცელების რელიეფი ძირ-ითადად გორაკ-ბორცვიანია, 10-25 გრადუსის დაქანებით.წითელმიწები გავრცელებული არიან ზღვის დონიდან 400-500 მ სიმაღლეზე. გამოფიტვის დიდი ხარისხი აღინიშნება 6 მეტრის სიღრმემდე, რის შედეგად ხდება რკინისა და ალუმინის ჟანგების დიდი რაოდენობით დაგროვება 2-5 მეტრის სიღრმეში, ხოლო სილიციუმის ორჟანგის და ფუძეების გამორეცხვა, რის შედეგად წითელმიწებს ახასიათებთ მკაფიო მოწითალო ნარიჯისფერი. მიუხედავათ თიხიანი შემადგენლობისა, მას ახასიათებს კარგი მიკროაგრეგატულობა, ანიონების შთანთქმის უნარი და წყალმართავ-ჰაეროვანი თვისებები. წითელმიწა ნიადაგები მჟავე ტიპის ნიადაგებია.

ეწერი, ეწერლებლიანი - ნიადაგებისათვის დამახასიათებე-ლია ძლიერი გამორეცხვა და გაეწრება. სუბტროპიკული ეწერები მდიდარია ერთნახევარი ჟანგეულებით, მხოლოდ ზედა ფენაში სილიციუმის ორჟანგის დაგროვების გამო ახასიათებს ღია ნარინჯის ფერი. ეწერების ქვედა ფენას ახასიათებს ცუდი წყალგამტარობა, ნიადაგი აქაც მჟავე ტიპისაა.

წითელმიწა და ეწერი– ტიპის ნიადაგები ჰუმუსითა და საკვები ელემენტების შემცველობით ღარიბია. ამ ნიადაგებზე მაღალი ხარისხიანი და მყარი მოსავლის მისაღებად დიდი მნიშვნელობა აქვს მცენარის კვების რეგულირებას სასუქების გამოყენებით და იმ ღრმა ცვლილებების ცოდნას, რაც ხდება მცენარესა და ნიადაგში სასუქების გამოყენების შედეგად.

ტყის ყომრალი, ნეშომპალა კარბონატული ნიადაგები– ხირხატიანი კარგი სტრუქტურის კარბონატებზე განვითარებული ნიადაგებია, რომელებიც ხასიათდებიან სუსტი მჟავე, ოპტიმალური არის რეაქციით.

– რეგიონში ტრადიციული ჩაის და ერთწლიანი კულტურების გვერდით თანდათან ვითარდება ლურჯი მოცვი,სხვა კენკროვანი კულტურები, მიმდინარეობს ძველი გურული ვაზის აღდგენის პროცესი. როგორი ნიადაგებია შერჩეული ამ შემთხვევებში და რას ურჩევდით ფერმერებს (სხვა მსურველებს) ახალი პლანტაციის გაშენების წინ?

– ორიოდე სიტყვით მინდა შევეხო გურიის რეგიონში ჩაის კულტურის განვითარებას. ჩაის კულტურის გასაშენებლად ხელსაყრელად ითვლება ნაყოფიერი, კარგი სტრუქტურის მქონე მჟავე ნიადაგები. ასეთ ნიადაგებს მიეკუთვნება ტენიანი სუბტროპიკების ნიადაგთა ძირითადი ტიპები, ასევე, ჩაის კულტურისათვის მისაღებია ტენიანი სუბტროპიკების კლიმატური პირობები: ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა, ნალექების რაოდენობა და ტემპერატურა, ზემოთხსენებულმა პირობებმა გან-აპირობა ჩაის კულტურის გაშენება გურიის რეგიონში.

1990 წლიდან ქვეყანაში შექმნილი ეკომონიური და პოლიტიკური არასტაბილურობის გამო, მეჩაიობის დარგმა დაკარგა პროდუქციის გასაღების სტაბილური ბაზარი. რის შედეგად ფერმერებმა დაიწყეს პრივატიზებული ჩაის პლანტაციების ამოძირკვა. პლანტაციათა უმრავლესობა დაიფარა სარეველებით. ეს იყო გამოუსწორებელი შეცდომა. **ეხლა ალბათ ყველა დარწმუნებულია იმაში, რომ გურიის ტენიან სუბტროპიკებში მჟავე წითელმიწა, ყვითელმიწა, ეწერ ნიადაგებზე ჩაის კულტურის შემცვლელი კულტურა არ არსებობს.** იგი ეროზიის ერთ-ერთი შემაჩერებელი კულტურაა.

2016 წლიდან დაიწყო ჩაის რეაბილიტაციის პროგრამა. რეაბილიტაციასთან ერთად დღის წეს-რიგში უნდა დადგეს სანერგე მეურნეობის მოწყობა და ჩაის ახალი პლანტაციების გაშენება, ძველი ამორტიზირებული სარეველებით დაფარული პლანტაციების ამოძირკვის ხარჯზე. ამასთანავე ერთად, პროექტ „დანერგე მომავლის“ ჩამონათვალში უნდა შევიდეს ჩაის კულტურა 100% –იანი დაფინანსებით. მეჩაიეობის აღდგენა გურიის სუბტროპიკულ ზონაში გამოიწვევს ეკონომიკის საბაზისო დარგის განვითარებას, რასაც მოყვება მოსახლეობის მიგრაციის შემცირება, ქართული სოფლების და გაუდაბნოებული მიწების აღდგენა.

გვ–4

ლევან ჩხაიძე: მთავარი არის მონდომება და შრომა და ყველაფერი შეგიძლია დაიწყო ნულიდან

ლადო მენაბდე, „გურიის მოამბე“

„2015 წლამდე ვმუშაობდი ბანკის მმართველად, ამ წელს „პრივატბანკი“ შეისყიდა საქართველოს ბანკმა, გაგვისტუმრეს სამი თვის ხელფასები კომპენსაციის სახით და გამოგვიშვეს სახლში, ეს თანხა რამდენიმე თვეში დამთავრდა და დავრჩი, რომ იტყვიან უპატრონოდ, დიდი არჩევანის წინაშე, არ ვიცოდი რა უნდა გამეკეთებინა, მყავდა ოჯახი, მშობლები, ოთხი შვილი და არა სამსახური, შემოსავალი ნული. რაღაცა უნდა გამეკეთებინა, ჩავთვალე, რომ ყველაზე მარტივი იყო სოფლის მეურნეობა, რატომ? იმიტომ რომ მიწა მქონდა “

ლევან ჩხაიძე *– კომპანია „მოცვის წარმოების პარტნიორი“ ერთ-ერთი დამფუძნებელი*

დღეისათვის ოზურგეთში დაფუძნებული კომპანია – „მოცვის წარმოების პარტნიორი“, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით ქვეყნის, ხუთ უმსხვილეს სანერგე მეურნეობაში შედის და პირველი კომპანიაა საქართველოში, რომელმაც თავისი პროდუქცია ექსპორტზე გაიტანა. ოზურგეთიდან რამდენიმე ათასი მოცვის ნერგი, თურქულმა კომპანიებმა შეიძინეს. კიდევ ვაპირებთ, ჩვენი პროდუქციის ექსპორტს სხვა ქვეყნებშიც.

ლევან ჩხაიძე – წლების განმავლობაში – წარმატებული არასამთავრობო ორგანიზაციის „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირის“, ასევე, წარმატებული თანამშრომელი და სამოქალაქო აქტივისტი იყო.

„2011 წელს წამოვედი არასამთავრობო ორგანიზაციიდან, რადგან მივიღე შემოთავაზება „პრივატბანკის“ ოზურგეთის ოფისის ხელმძღვანელის ვაკანსიაზე, რასაც დავთანხმდი და 2015 წლამდე ვმუშაობდი ბანკის მმართველად. ამ წელს „პრივატბანკი“ შეისყიდა საქართველოს ბანკმა, გაგვისტუმრეს სამი თვის ხელფასები კომპენსაციის სახით და გამოგვიშვეს სახლში. ეს თანხა რამდენიმე თვეში დამთავრდა და დავრჩი, რომ იტყვიან უპატრონოდ, დიდი არჩევანის წინაშე, არ ვიცოდი რა უნდა გამეკეთებინა, მყავდა ოჯახი, მშობლები, ოთხი შვილი და .არა სამსახური, შემოსავალი ნული. რაღაცა უნდა გამეკეთებინა, ჩავთვალე, რომ ყველაზე მარტივი იყო სოფლის მეურნეობა, რატომ? იმიტომ რომ მიწა მქონდა ერთი ჰექტარი“. ასე იწყებს ჩვენი რუბრიკის ფარგლებში „გურიის მოამბესთან“ საუბარს, ოზურგეში, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ფერმერი, ლევან ჩხაიძე.

ჩვენ მას ზუსტად იმ დღეს შევხვდით და ვესაუბრეთ, როცა ოზურგეთული კომპანია „მოცვის წარმოების პარტნიორი“, გახდა პირველი ქართული სანერგე მეურნეობა, რომელმაც თავისი პროდუქცია ექსპორტზე გაიტანა, ამ დღეებში, მათი კუთვნილი ლურჯი მოცვის 15 ათასი ნერგი, ერთ-ერთმა თურქულმა კომპანიამ შეიძინა.

„დავიწყე ინფორმაციების მოძიება, გავეცანი პროგრამას „დანერგე მომავალი“, რომელიც ინიცირებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ და ახორციელებს სოფლის განვითარების სააგენტო სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით. ვფიქრობ, რომ ეს უნიკალური პროგრამაა, სახელმწიფო გაძლევს ფულს, გჩუქნის, ოღონდ შენ რაიმე, სოფლის მეურნეობის კუთხით გააკეთე. პროგრამა ბევრ რამეს გულისხმობს, მაგალითად შეგიძლია ამ პროგრამის ფარგლებში გააშენო ჩაი, ლურჯი მოცვის პლანტაცია, ხილი, ვაშლი, მსხალი, ატამი, ბალი, დაფნა და სხვა უამრავი რამ. რახან ახალი თემა იყო, მე დავინტერესდი ლურჯი მოცვით და გადავწყვიტე მისი გამოყვანის თემის მიმართულებით წავსულიყავი. 2015 წლიდან დავიწყე ამ თემაზე მუშაობა, ბევრი შრომა დაგვჭირდა, რადგან ვიწყებდით ნულიდან, ოჯახში მხოლოდ ჩემი მეუღლე მუშაობდა და იმის ხარჯზე ვიყავით ყველა დანარჩენი. ეს პროგრამა „დანერგე მომავალი“ უმარტივესი თემაა, პირდაპირ საკუთარი სახლიდან, კომპიუტერიდან შეგიძლია გააკეთო განაცხადი, არ ჭირდება განაცხადს ბიზნეს გეგმა, მთავარია გქონდეს დარეგისტრირებული მიწა, ძალიან მარტივი შესავსები ფორმაა, მას თან დაურთავ საკადასტრო კოდს, რომ ეს მიწა შენია, გასცემ შეკითხვებს პასუხს, რაც შეეხება თანხას, მაქსიმალური თანხა – ერთ ჰექტარზე 15 ათასი ლარია. ვენახი ძალიან საინტერესო თემაა, მევენახეობა პერსპექტიული დარგია, ასევე მეხილეობა, მაგალითად, ბალი, რომლის ფასიც ბაზარზე კარგია და მოთხოვნადიც არის. ერთი კილოგრამი ჩხავერის ფასი ბაზარზე 6 ლარია“

შრომა სჭირდება, მაგრამ შრომის გარეშე არაფერი არ გამოდის. მთავარი არის მონდომება და შრომა და ყველაფერი შეგიძლია დაიწყო ნულიდან. მივმართე „დანერგე მომავალს“ – დავიწყე ლურჯი მოცვის მოშენება, შემდეგ მოვიდნენ ადამიანები, ჩემი წარმოებული ნერგების ყიდვა შემომთავაზეს, რა თქმა უნდა, გავყიდე. შემდეგ მეორემ იყიდა, მესამემ და მივხვდი რომ ნერგების წარმოება და გაყიდვა უფრო მომგებიანი და მიმზიდველი იქნებოდა და დავიწყე ნერგების წარმოება. პარალელურად ვაგრძელებდი ჩემი მოცვის ფართობის გაშენებას. თავიდან ყველაფერი ნელი ტემპებით მიდიოდა, პირველი ორი წელი ფული არ ამომიღია, რაც შემ-

გვ–4

ფერმერებმა ახალი კულტურის გაშენების წინ უნდა ჩაატარონ ნიადაგის აგროქიმიური გამოკვლევები

მისასალმებელია, რომ კომპანია „ბახვი ჰესის“ პროგრამა, რომელიც გურული ჩაის პოპულარიზაციასა და ჩაის ბიზნესში ჩართული მეწარმეობის განვითარებაზე ზრუნავს.

რაც შეეხება კენკროვან კულტურებს, კერძოდ ლურჯ მოცვს მისთვის მისაღებია მჟავე რეაქციის ნიადაგები და სუბტროპიკული კლიმატი, მაგრამ უნდა მიექცეს ყურადღება ჯიშების შერჩევას, ფლორას და ფაუნას, გატარდეს დაავადებასთან ბრძოლის ღონისძიებები.

მისასალმებელია ძველი გურული ვაზის ჯიშების აღდგენის პროცესი. კერძოდ, ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ნეშომპალა კარბონატული ტიპის ნიადაგებზე.

— რა მეთოდი უნდა გამოიყენოს ფერმერმა ნიადაგის დამუშავებისას?

ფერმერებმა ახალი კულტურის გაშენების წინ უნდა ჩაატარონ ნიადაგის აგროქიმიური გამოკვლევები და ისარგებლონ ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლების საფუძველზე შედგენილი რეკომენდაციით.

— რა გავლენას ახდენს მინარალური და შხამქიმიკატები ნიადაგის განოყიერებისას და რას ურჩევდით ამ კუთხით ფერმერებს?

— ყველასათვის ცნობილია, რომ იყო პერიოდები, როდესაც მინერალური სასუქების და შხამქიმიკატების გამოყენებამ პიკს მიაღწია. შემდეგ იყო უძრაობის პერიოდი და ნიადაგის განოყიერება საერთოდ იგნორირებული იყო სოფლის მეურნეობასთან ერთად. იყენებდნენ მხოლოდ აზოტოვან სასუქებს, რამაც კიდევ უფრო გაზარდა ნიადაგების გამოფიტვა, დაჭუჭყიანებაა, მასთან ერთად დაირღვა ნიადაგის ბიომრავალფეროვნება, საკვებ ელემენტთა შეფარდების წონასწორობა.

ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლების შესწავლამ გვიჩვენა, რომ გამოკვლეული ნაკვეთების უმეტეს ფართობებში ჰუმუსის და საკვები ელემენტების შემცველობა მინიმალურია. ასევე, გაუარესებულია ნიადაგის სტრუქტურა, განსაკუთრებით მთიან ზონაში, სადაც ნიადაგების უმეტესობა განიცდის ეროზიულ პროცესებს. ნიადაგები დეგრადირებულია, ამიტომ მთიან ზონაში, სადაც გვყავს მეცხოველე ფერმერები და სურვილი აქვთ ბიოპროდუქტების წარმოების, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ორგანული სასუქების გამოყენებით ბოსტნეული კულტურების მოყვანას.

ცნობილია, რომ ორგანული სასუქები ნიადაგში განიცდიან მინერალიზაციას და შემდეგ არის ის მცენარისათვის ხელმისაწვდომი. ეს ხანგრძლივი

პროცესია, ამიტომ პირველ წლებში ორგანული სასუქები მხოლოდ მინერალურ სასუქებთან ერთად იძლევა შედეგს. მაგრამ შემდეგ წლებში შესაძლებელია მინერალური სასუქების დოზების შემცირება, შემდეგ კი შუალედურ ორგანო-მინერალურ სასუქებზე გადასვლა. ამ დროს დიდ ეფექტს მოგვცემს „ბაქტოფერტი“, „ჯეოჰუმატი“, „ორგანიკა“, „ჰუმაფოსკა“, „აგროვიტა“ „იზაბიონი“ და სხვა. ეს სასუქები ნიადაგს ამდიდრებენ ორგანიკით და ააქტიურებენ მიკროორგანიზმებს, რომ მოხდეს ორგანული სასუქების მინერალიზაცია და მცენარის მიერ საჭირო საკვები ელემენტების შეთვისება.

ბიო-სასუქების გამოყენების დროს საჭიროა ყურადღება მივაქციოთ მინიმუმის კანონს და მოვახდინოთ ნიადაგების კომპლექსური შესწავლა რეგიონების მიხედვით.

გურიის რეგიონში ნიადაგების 60%-ზედმეტი მჟავე ნიადაგებს უჭირავთ, ამიტომ ასეთ ნიადაგებზე ჩაის კულტურის გაშენება ყველაზე ხელსაყრელია. ასევეა ლურჯი მოცვის კულტურა. რაც შეეხება დანარჩენ კულტურებს, ისინი უნდა განლაგდნენ ისეთ ნიადგებზე, რომლებიც შედარებით სუსტი მჟავეა, კერძოდ, **ლანჩხუთის** მუნიციპალიტეტი ან კიდევ, ნიადაგების გაკულტურება მოვახდინოთ ქიმიური მელიორაციით — მოკირიანებით. მოსაკირიანებლად შესაძლებელია გამოვიყენოთ ადგილობრივი კირქვები, სამეგრელოში გავრცელებული მერგელები, აგარის შაქრის ქარხნის ანარჩენი — დეფეკაციური ტალახი, ასევე მაღალმაჩვენებლიანი ჰ-ის მქონე ჰუმინური სასუქები.

ნიადაგების გაკულტურებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს **სიდერატების** თესვას, როგორც კულტურათა გაშენებამდე, ისე კულტურის გაშენების შემდეგ მწკრივთა შორის. სიდერატებიდან გამოვყოფდით **სოიას,** რადგან იგი დაბალ კალორიული საკვები პროდუქტების მიღების ერთ-ერთი წყაროა. სიდერატების თესვა,მათი გაცელვა, მულჩად გამოყენება ან ჩაკეთება აუმჯობესებს ნიადაგის ფიზი-კურ თვისებებს, ტენტევადობას, ზრდის ორგანულ მასას, იგი ჰერბიციდების გამოყენების ერთ-ერთი საწინააღმდეგო ღონისძიებაა.

—რა მეთოდი უნდა გამოიყენოს ფერმერმა ნიადაგის დამუშავებისას? რა შემთხვევაში საჭიროებს ნიადაგები ღრმა დამუშავებას?

— რაც შეეხება ფერმერების მიერ ნიადაგების ღრმა დამუშავებას, ეს დამოკიდებულია ნიადაგის ფიზიკურ თვისებებზე, მძიმე თიხნარი და თიხოვანი ფიზიკური მდგომარეების მქონე ნიადაგები საჭიროებენ ღრმა დამუშავებას.

—თქვენი აზრით, რამდენად ახდენს გავლენას გარემოზე გურიაში დაგეგმილი მცირე-და საშუალო-ჰესების მშენებლობა?

—მე, როგორც სპეციალისტმა გურიაში მხოლოდ „ბახვი ჰესის“ მაგალითზე შემიძლია გითხრათ, რომ **ჰესის მიერ გამოყენებული წყალი, რომელიც მდინარეში ბრუნდება, მდინარის ბიომრავალფეროვნებისთვის საშიში არაა.** ჩვენ მდინარე ბახვისწყლის ხეობაში წყლის 32 სახის ანალიზი გავაკეთეთ. კვლევების შედეგად დადასტურდა, რომ ჩამდინარე წყალში შეწოვილი ნაწილაკებით სიმღვრივის გამოწვევა არ ხდება. ამ მხრივ გარემოს დაჭუჭყიანების პროცესი გამორიცხულია.

ლევან ჩხაიძე: მთავარი არის მონდომება და შრომა და ყველაფერი შეგიძლია დაიწყო ნულიდან

ოდიოდა ყველაფერს წარმოებაში ვდებდი, სოფლის მეურნეობა ძალიან საინტერესო თემაა, აქ არ უნდა იჩქარო, თუმცა დაგვიანებაც არასასურველია.

„მოვლენები ისე წარმატებით განვითარდა რომ, ჩემს მეგობარ და თანამოაზრე, **ლაშა ღლონტთან** ერთად, ჩამოვაყალიბე შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მოცვის წარმოების პარტნიორი“ – დღეისათვის, ახლა, ამ წუთში 350 ათასი მოცვის ნერგი გვაქვს გასაყიდად გამზადებული, ყოველწლიურად დაახლოებით 200 ათას ნერგს ვყიდით. უკვე ვფლობთ 2 300 კვადრატული მეტრის სათბურს, გვაქვს ორჰექტარ ნახევარი მიწა. დამატებით ნახევარი ჰექტარი სადემონსტრაციო ნაკვეთი. სადაც გვაქვს მოცვის სხვადასხვა ჯიშები. როცა ადამიანი მოდის ვანახვებთ ყველა ჯიშს, რომელიც მოეწონება და თუ გადაწყვეტს შეიძინოს, ვასწავლით ყველა პროცედურას, რაც აუცილებელია ნერგისთვის, მის დარგვას, მოვლა პატრონობას, როგორია ნაყოფი, რამხელას იზრდება. ასევე სადემონსტრაციო ნაკვეთში თვითონვე ნახულობს, როგორ უნდა გაკეთდეს ეს ყველაფერი, ანუ თეორიულ ცოდნასთან ერთად, პრაქტიკულადაც ვასწავლით და გამოცდილებასაც ღებულობს, სხვადასხვა ჯიშები სხვადასხვანაირად იზრდება, სხვადასხვანაირად ისხამს, მოსავალიც სხვადასხვა დროსაა და ასე შემდეგ. დაინტერესებულ პირებს სახელმწიფო პროგრამებთანაც ვაკავშირებთ, რაც, როგორც ზემოთ ვთქვი, არცთუისე რთულია.

— ამ სახელმწიფო პროგრამების წარმომადგენლობა ოზურგეთშია?

— კი, ვსარგებლობ შემთხვევით და ყველა დაინტერესებულ პირს ვურჩევდი ამ სახელმწიფო პროგრამების წარმომადგენლებთან ურთიერთობას ოზურგეთში, ქალბატონი თეა კუპრაძე ხელმძღვანელობს, ის ძალიან კარგი და კვალიფიციური კადრია, ყველას ძალიან ეხმარება და ბევრ რამეს აკეთებს ჩვენს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობით დაინტერესებული მეწარმეებისათვის.

თავისთავად ჩვენი ბიზნესიც ქალბატონ თეასთან ურთიერთობით დაიწყო და მან დაგვაკვალიანა, გვასწავლა რა და როგორ უნდა გაგვეკეთებინა.

არის ასევე საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებიც, რომლებიც ამ კუთხით მუშაობენ, თუმცა ჩვენ მათთან ურთიერთობა არ გვქონია და ყველაფერი ისე განვითარდა, რომ ამ ეტაპზე მსგავს დახმარებას ჩვენ არ ვსაჭიროებთ. სახელმწ-იფოს ისეთი კარგი პროგრამები აქვს, რომ დონორი საერთაშო-რისო ორგანიზაციები ამ ეტაპზე არ გჭირდება, აი როცა განვითარდები და შემდგომ ეტაპზე გინდა გადასვლა, მაშინ შესაძლებელია.

— სხვა პარტნიორებზეც რომ გვითხრათ

— ქვეყნის ფარგლებს გარეთ პარტნიორების შეძენა მოსდევს საქმიანობას, სწორედ ამ საქმიანობიდან გამომდინარე, უამრავი პარტნიორი შევიძინეთ იტალიაში, თურქეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ესპანეთში, საბერძნეთში. მაგალითად, არიან ადამიანები, ბიზნესმენები, რომლებსაც არ სურთ საქართველოში გამოყვანილი ნერგებით დაიწყონ პლანტაციების გაშენება, ასეთებისათვის ჩვენ ამ ქვეყნებიდან ჩამოგვაქვს ნერგები.

გარდა ინფორმაციისა და ნერგების მოწოდებისა, ჩვენი პარტნიორები გვეხმარებიან ჩვენ ცოდნის გაღრმავებასა და გამოცდილების მიღებაში, განსაკუთრებით ჩვენი იტალიელი პარტნიორები. ჩვენ კი ვიცოდით რაღაც დონეზე, მაგრამ, იმათ ცოდნასა და გამოცდილებას წლების შრომა და განვითარებისაკენ სწრაფვა ეფუძნება, ჩვენ, ჩვენის მხრივ, ჩვენი პარტნიორებისგან მიღებულ ცოდნას, ჩვენს კლიენტებს გადავცემთ. 21-ე საუკუნეა, ტექნოლოგიური პროგრესის ხანაში ვართ და სიახლეები ყოველდღიურია, თუ ჩამორჩი განვითარებას, შემდეგ პრობლემები იქმნება ბიზნესში. მაგალითისათვის, ჩვენს კომპანიაში იტალიელი პარტნიორები წლის განმავლობაში, მინიმუმ, სამჯერ ჩამოდიან. ჩვენ. საქართველოში, დღიდან მუშაობის დაწყებისა, სხვადასხვა კომნანიებისათვის შეკვეთით, შესაბამისი ანაზღაურებით, გაშენებული გვაქვს 700 ჰექტარზე მეტი პლანტაცია.

— დასაქმებულებზეც რომ გვითხრათ?

— 20-მდე ადამიანი გვყავს დასაქმებული და მათი საშუალო ხელფასი დაახლოებით 1 000 ლარია, კომპანიის წლიური ბრუნვა კი რამდენიმე მილიონს გადასცდა, ეს მაჩვენებელი წლებია სტაბილურია.

— ლევან, თქვენ 2015 წელს აღმოჩნდით სიტუაციაში, რომ დარჩით უმუშევარი, ფიქრობდით ემიგრაციაში წასვლაზე. რას ურჩევდით ისეთ ადამიანებს, რომლებიც ახლა იგივე სიტუაციაში არიან, როგორშიც თქვენ 8 წლის წინ?

— არ დანებდნენ, მოიკრიბონ ენერგია და ძალა, რომ შექმნან საკუთარი წარმოება, ნახევარი ჰექტარი თუ ერთი არა, მგონი ყველა მოსახლეს აქვს სოფლად, ყველას შეუძლია მოიყვანოს სოფლის მეურნეობის კულტურები. სულ მარტივად რომ ავიღოთ, ყველაზე მოთხოვნადი ხომ კვების პროდუქტებია, ამ სფეროში მარტივია რომელიმე კულტურის, თუნდაც ბოსტნეულის მოყვანა. რა თქმა უნდა, ყველაფერს სჭირდება მუშაობა. კარგი, პომიდორსა და კიტრს პრობლემა აქვს და ორგანული სასუქები სჭირდება, აი, სალათის ფურცელი ხომ წელიწადში ხუთჯერ მოდის. და ნახეთ, რა კარგი ფასი აქვს. თუ გინდ, სიმინდი იყოს, მშვენიერი ფასი აქვს. პირველ რიგში, გვჭირდება ინფორმირებულობა, შემდეგ ცოდნა და განათლება და რაც მთავარია, შრომა! ყველაფერ ამისათვის კი მზაობაა საჭირო. დამიჯერეთ, რომ მთავარია დაწყება, შემდეგ უკვე ამას ველარ მოშორდებით, როცა შენი პროდუქცია იზრდება, კლიენტი კმაყოფილია და ეს შენს შემოსავალზეც აისახება, ამაზე კარგი რა უნდა იყოს. სამწუხაროდ საბჭოთა კავშირის დროს კერძო საკუთრებისადმი დამოკიდებულებამ მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა არა მარტო ეკონომიკას, არამედ ჩვენს მენტალობასაც, ქართველები ხომ „გეორგიანელები“ ვართ, როგორ შეიძლება ვინმემ სიზარმაცეზე ისაუბროს? ანუ იმის თქმა მინდა, რომ პირველ რიგში აუცილებელია შრომისმოყვარეობა, ჩვენი წინაპრები ხომ ამით, შრომით, გამოირჩეოდნენ და განსაკუთრებული დამოკიდებულებით მიწასთან. რომ დავუბრუნდეთ საბჭოთა კავშირს, ყველაფერი ის, რაც ახლა ჩვენ გვინდა დავიწყოთ და განვავითაროთ, აკრძალული იყო ათეული წლები და ჩვენი მშობლების და წინა თაობები, მოკლებულნი იყვნენ ამ შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე ეს ხელოვნური წყვეტა ჩვენს წარსულთან მუხლჩაუხრელი შრომით უნდა აღმოვფხვრათ. ჩვენ კავშირი დავკარგეთ ჩვენს ბებიებთან და ბაბუებთან, რომლებსაც ეს ყველაფერი გენეტიკურ კოდში ჰქონდათ. სწორედ ეს კავშირი უნდა აღვადგინოთ და დავუბრუნდეთ ჩვენს ტრადიციებს, რომელიც ჩრდილოელმა მეზობელმა წაგვართვა.

წარმატებული ფერმერები გურიიდან – მაგალითი როგორ დავძლიოთ სიღარიბე „ინფორმირებულობიდან კეთილდღეობამდე“

და მაინც... ვინ არის დამნაშავე?!

დასწყისი „ალიონი“ №-27

მეც, ისევე როგორც, ცოტა თქვენთაგანი, „ვინ არის დამნაშავეს“ მხოლოდ და მხოლოდ კინოფილმიდან ვიცნობდით.

დიდებული კინოფილმია!

არა მხოლოდ იმ დროის ნამდვილი შედევრი და როგორც უკვე ვთქვი პირველი ეკრანიზებული პიესა!

პიესა, რომელიც ჩვენმა გურულმა ჯერ კიდევ 1908 წელს დაწერა.

არ დაგავიწყდეთ, ამ დროისთვის გურიიდან უკვე გასახლებულია და რომ იტყვიან, დღე-დღეზე თბილისიდან გადასახლებაც ელოდება წინ, თუმცა, ბიოგრაფიის სხვა მნიშვნელოვან ეტაპებს, მართლაც ეტაპებს, გვერდი ავუაროთ და „ვინ არის დამნაშავის“ რეცენზიას „მოვისმინოთ“. რეცენზიის ავტორი მეტად ცნობილი **შალვა დადიანი** გახლავთ!

რეცენზიაცაა და რეცენზიც!

აი, ისეთი, ვერაფერს რომ ვერ ამოაკლებ!

და რადგან ასეა, სრულად გთავაზობთ:

„ვინ არის დამნაშავე

ჩვენი სასახლო მწერალი ქალის, ნინო ნ ა კ ა შ ი ძ ი ს პიესას: „ვინ არის დამნაშავე" ქართულს დრამატურგიაში უსათუო უჭირავს მეტად თვალსაჩინო ადგილი.

ეს კი იმისათვის, რომ თითქო სადა, მაგრამ დიდის ოსტატობით აქვს გადმოცემული თავის პიესაში შეცხრამეტე საუკუნის გლეხთა ყოფა-ცხოვრება გურიისა და თქვენ კითხვის დროსაც და სცენაზედ გრძნობთ, რომ ავტორი ძალიან კარგად იცნობს მაშინდელი ცხოვრების ვითარებას და დიდის დაკვირვებითაც აქვს იგი გადმოცემული.

უმთავრესად კი აქ ასახულია ერთის მხრით ძველი, მეტად მომჭირნე, მესაკუთრე ქალის შეუვალი ხასიათი, რომელსაც გარდა მისი ოჯახის ნივთიერი მოლონიერებისა, შეძენის სხვა არაფერი არ იტაცებს და არც კი ესმის, ადამიანთა გულთან და სულთან როგორი, უფრო ადამიანური კავშირი უნდა ბქონდეს.

მეორე მხრით პიესაში ჩვენ ვხედავთ მეტად სიმპატიურ არსებას, ნაზი გულის პატრონს, სალიხეს რძალს ფატის. ეს ხომ ძველი დროის უუფლებო ქალია, დამორჩილებული დუხჭირი ოჯახის ტრადიციებს და მთელი მისი ცხოვრება წარმოადგენს პასიურს, მაგრამ მაინც მძლავრ პროტესტს არსებულ სულის შემხუთველ ზნე-ჩვეულებისა და ადათების წინააღმდეგ. ივი ფართხალებს, როორც გალიაში ჩამწყდეული უცხო ჩიტი გალობს თავის საგალობელს მომხიბლავად, მაგრამ გამოსავალი ვერ უჰოენია და იღუპება ამ გალიაში.

ესენი არიან მთავარი წარმომადგენელნი წინანდელ ოჯახში ძველისა და ახალი თაობისა და ორთავენი დიდის დამკვერებლობით არიან ავტორის მიერ ასახულნი.

მაგრამ არა ნაკლებ დამკვერებლობით არიან მოცემულნი სხვა პერსონაჟებიც პიესისა: სიკო, არსენა და ყარამანი.

და განსაკუთრებით სიკოს პაპა, ყრუ და უსინათლო მოხუცი. მისი წინადგრძნობა, რომ მისი შვილისშვილის წასვლა აშერიკაში ოჯახს სიკეთეს არ მოუტანს, ძალიან კარგად აქვს ავტორს გადმოცემული. აგრეთვე მოხუცის დამოკიდებულება ფატისადმი. რამდენი სინაზე და გულის სითბოა ამ ორთა შუა. საერთოდ კი ავტორს თითქო ისა სურს, რომ მოხუცი ხალხის სიბრძნის გამომთქმელი იყოს გარშემო, ლეკმა პერისათვის, ასე ვთქვათ, მკლერად მეხრძოლ ხალხს შორის. ავტორმა იცის რომ ეს სიბრძნე პოტენციალად ხალხშია ჩამარხული. საწყისები საუკეთესო ადამიანური თვისებებისა ხალხს მუდამ თან ახლავს, მხოლოდ მას უნდა მიეცეს საშუალება, რომ გამოზეურდეს, გაიშალოს, განვითარდეს და ქვეყნად დამყაროს საუკეთესო წესი, რივი ცხოვრებისა, სოკოს პაპა ასეთი ხალხური საწყისების მატარებელია და კარგად აქვს შენიშნული ავტორს.

საერთოდ პიესა დაწერილია დრამატურგიულად დიაღ, ჩინებულად. თუ არა ვცები, ეს პირველი პიესაა სასიქადულო ნინოსი და ამ პირველსავე პიესაში მან გამოამჟღავნა სათანადო და მაღალი ცოდნა დრამატურგიული კანონებისა.

აიღეთ თუნდა ეგრეთ წოდებული ექსპოზიცია ნაწარმოებისა. ფარდა აიღება და რაღაც ერთი-ორი წუთის შემდეგ თქვენ უკვე გრძნობთ, არამც თუ ოჯახის წევრების ერთი მეორისადმი დამოკიდებულების და ვინაობის ვითარებას, არამედ იმასაც რომ ამ ოჯახის თავზე თითქო შავი ღრუბლები იკრიბება და თქვენი გულისყური უკვე დაპყრობილია და გინდათ გაიგოთ რა მოხდება, რა იქნება/ მერმე კიდე ეს ისეთ რეალურ პირობებში, სოფლის თითქო იდილიურ მყუდროებაში, რომ თქვენ თეატრი აღარც კი გრძნობთ თავს. ასეთი დაწყება პიესისა კი, მოგეხსენებათ, რომ ითელება საუკეთესო ხერხად დრამატურგიაში“.

დრამატურგიის ხერხებისა, აბა, მე რა უნდა მოგახსენოთ, მაგრამ. აი, ახლა „თქვე თვალის წინ“ ფარდა რომ არ აიღო, ვერაფრით ვიზამ...

მაშ. ასე!

„ვინ არის დამნაშავე

მოქმედება I

სოფლის ამწვანებული ეზო. მოავლირიანი ფიცრული ძველებური სახლი, სახლის წინ დიდი ცაცხვი, ცაცხვის ძირში გრძელი გათლილი ქვა ძევს; ცოტა დაშორებით უკან მჭვარტლისაგან სრულიად გაშავებული პატარა ჯარგვალი სახლი დგას, სახლები ორივე „ისლით" დახურულია. ჭიშკრის ახლო ჯარგვლის მხარეს ნალია (სასიმინდე) არის. სახლებ შუა ერთმანეთთან მისავალი პატარა გატკეპნილი ბილიკია, ბილიკია აგრეთვე ეზოს უკანა მხარეს წასასვლელი, რომელიც პატარა სახლს ჩაუდის გვერდით, პატარა სახლის წინ მზეზე ზის თავზე მოსახვევ წაკრული, სრულიად გათეთრებული, ძალზე მოხუცი სიკოს პაპა; მოკუნტულია, თვალები დახუჭული აქვს, ხელში კრიალოსანი უჭირავს და ნელა ათამაშებს. ხანდახან ჩიბუხს სწევს. ცაცხვის ქვეშ ქვაზე ზის ფატი, ნელა არწევს აკვანს და ბავშვს უმღერის. ეზოს დაბალი ძველი ღობე აქვს შემოვლებული. ძველი პატარა პიშკარი ჰკიდია. ჭიშკართან „ალაგე“ აქვს გაკეთებული.

ფატი (მღერის...)“

მღერის და იმღეროს... ხომ იცით რა ცოტა დრო აქვს სამღერლად და სალხინოდ... აკი ვთქვით „თითქოს შავი თითქო შავი ღრუბლები იკრიბება...“

ნუ დაველოდებით და, კვლავ ბატონ შალვას მოვუსმინოთ...

შემდეგ კი, წესისამებრ, თანდათან ვითარდება მოქმედება, არსად არ ეშეება, არსად არც ერთი ყალბი სცენა, ვითომდა სიუჟეტის წინ წასაწევად, ყოველივე ბუნებრივად და კანონზომიერად მიდის, სანამ

არ მიაღწევს კატასტროფის მწვერვალს, როდესაც თქვენ უკვე მიხვებით,რომ თქვენ წინ გაიარა ჩვენი ხალხის ერთ-ერთმა დიდმა ტრაგედიამ, რომ ესეთი ცხოვრება ყოფილა სულის შემხუთველი, რომ აქ არსად არ ჰბერაეს თაეისუფლების მანუგეშებელი ნიავი.

და რომ.. ასე ცხოვრება შეუძლებელია.

ეს უკვე დიდი ამბავი იყო იმ დროს, ცარიზმის ცენზურის პირობებში, გაბედული ხმის ამოღება არსებული წესწყობილების წინააღმდეგ, რომელთაც შექმნეს უკეთესი სალიხე, უნიათო სიკო, უუფლებო ფატი და სხვა. აქ უკვე საშაროზე იყო გამოყვანილი თუ ვინ არის დამნაშავე ანუ უკეთ „ვინ იყო“-? ეს იყო მაშინდელი წესწყობილება.

ავტორმა გაიმარჯვა. შეუპოვრად ამოიღო ხმა და თითქო ცხოვრების დიდ სარკეში ჩაგვახედა ყველა.

ამ პიესას მაშინ დიდი აღმსრდელობითი მნიშვნლობა ჰქონდა და მას დღესაც არ დაუკარგავს თავისი ლირსება, როგორც ამსახველს უწყებულ დროის ვითარებისას და როგორც მეტად მწყობრად, დრამატურგიულად საუცხოოდ გამართულ პიესას.

ეს ნაწარმოები ღირსია რამე თუ რამდენჯერმე გამოცემისა, არამედ ის უნდა ირიცხებოდეს ჩვენი დიდი თეატრების „ოქროს ფონდში“, როგორც ერთი საგანძურთაგანი და დროგაშოშვებით იდგმებოდეს ისე, როგორც სხვა თეატრებში შემონახული აქვთ ცნობილი აქტორების ღირსეული ნაწარმოებები.

აქვე არ შეიძლება არ მოვიხსენიო, რომ ამ პიესის გარშემო ამ სტრიქონების დამწერიც, ცოტა არ იყოს, სიამაყეს გრძნობს, რადგანაც პირველად მას მოუხდა ,,ვინ არის დამნაშავე“-ს დადგმა ქალაქ ბათუმში, სადაც მაშინ „მოგზაური“ დასი მემაობდა. მთავარ როლებს ასრულებდნენ სალიხეს—აწ განსვენებული მსახიობი ქალი, ეველინა წუწუნავა; ფატისას — ელო ანდრონიკაშვილი, ამჟამად რესპუბლ. დამსახურებული არტისტი; სიკოსას — შალვა დადიანი; არსენას—ხურო მურუსიძე, ამ ჟამად რესპ. დამსახ. არტისტი და სხვა. სხათაშორის მოხუც ბებიაქალს, ჯუფანას ასრულებდა — ცეცილია წუწუნავა, ამ ჟამად რესპ, სახალხო არტისტი.

პიესამ და შესრულებამაც, ვიტყვი თამამად, დიდი შთაბეჭდილება დასტოვა საზოგადოებასა და პრესაში. ასე რომ პიესა იმავე შემადგენლობით თბილისში იქნა განმეორებული და აქაც ისეთივე მოწონება დაიმსახურა. მას შემდეგ ხომ ამ პიესას საუცხოოდ დგამდა, ცნობილი რეჟისორი, ამჟამად რესპ. სახალხო არტისტი ალ. წუწუნავა და ფატის როლს ისეთი საუცხოო შემსრულებელი გაუჩნდა, როგორიც ქართველი საზოგადოების საყვარელი არტისტი ვერიკო ანჯაფარიძეა, აგრეთვე დაუვიწყარია ამ პიესაში რესპ. სახალხო არტისტი ა. ჟორჟოლიანის მიერ შესრულებული ყარამანის როლი.

ალ. წუწუნავამ ხომ შემდეგში ამ პიესის საფუძელზე გადაიღო უკვე სახელმოხვეჭილი კინო სურათი „უაილდ ვესტის მხედარის" სახელწოდებით, რომელშიაც საუცხოო ფატი იყო ცნობილი კინოარტისტი ნატა ვაჩნაძე, სალიხე — ცეცილია წუწუნავა, სიკო — კოტე მიქაბერიძე, ჯუფანა — ელ, ჩერქეზიშვილი და სხვა, რომელთა სურათებიც ამავე წიგნში დავსდება.

შალვა დადიანი“

გიო კილაძე

მოგონებები

სურათზე: მამაჩემი პავლე თოდრაძე; დგანან ნადია, ვალიდა, ზის გურგენი, მერი. (გადაღებულია ჩემი ძმის ჯარში გაწვევის დღეს, 1942 წ.)

მერი პავლეს ასული თოდრაძე, დაბადებული 1935 წლის 14 აპრილს, 88 წელი შევასრულე და გულით მომინდა საზოგადოებისთვის მეამბო ძალიან მცირე ბიოგრაფიული ცნობები, ჩემი ცხოვრებიდან...

ჩემი მახსოვრობა იქედან იწყება, როცა დედაჩემის სასთუმალთან მეზობელი ქალების ფაცა-ფუცი ხდებოდა. მე დამავლეს ხელი და ახლობლებთან წამიყვანეს. იქ ჩამსვეს ჰამაკში, მარწევდნენ და თან ლაპარაკობდნენ: „რა ცოდვაა პატარა ბავშვი, დედა გარდაეცვალაო“...მე გარდაცვალების არსს ვერ ვხდებოდი, მაგრამ ცუდი რომ იყო, ვხედავდი და სახლში მოვითხოვე წაყვანა. შემომეგება ცოლის გარდაცვალებით გამწარებული მამა. ამიყვანა ხელში და ცრემლნარევი სიტყვებით მომეფერა... აქედან იწყებოდა ჩემი ურთიერთობა მამაჩემთან, 1993 წლამდე, მისი გარდაცვალების დღემდე.

მე მაშინ 5 წლის ვიყავი და მიცვალებულის ისე მეშინოდა, ოთახებში ვეღარ გავდიოდი. მამა მამშვიდებდა, მეფერებოდა. იგი დღედაღამ შრომობდა. მოჰყავდა სიმინდი, ჰქონდა კარგი ბოსტანი.

— „ყანაში მოსავლის აღებამდე სიმინდი არ მოტეხოთ, მერე სხვებიც მოტეხავენო“,—იტყოდა და ამიტომ ეზოშიც ჰქონდა ჭყინტი სასიმინდე ყანა. მამას კარგი საქონელი ჰყავდა და მარილიან რძეში „ჩაფუნჩხული“ მჭადი იყო ჩვენი ძირითადი საკვები. რომ სასარგებლოდ მოქმედებდა ორგანიზმზე, ამას ჩემი ამჟამინდელი ასაკი მეტყველებს.

ჩვენს ეზოში მდინარე ნაბჟუარა ჩამოედინებოდა და მამას — პავლეს ჰქონდა წისქვილი, რომელიც მეზობელმა ერქომაიშვილებმა გაუზიარეს .ერქომაიშვილების დიდი ოჯახი ობლის და მისი მამის დიდი პატივისმცემლები იყვნენ.

წისქვილზე მამას კვირაში ორი დღე ჰქონდა, დანარჩენი დღეები იმათი იყო. საფქვავი წისქვილში მოდიოდა არა ვედროებით, არამედ ზურგზე მოკიდებული ტომრებით.

ბჟუჟის ჭალა მაშინ ძალიან დიდი იყო. ბჟუჟის დინებები მრავალმხრივი იყო. გადაწურავდნენ არხებს და მთელი სოფელი ვედროებს ავსებდა თევზით.

მამაჩემი ტყიდან ეზიდებოდა ზურგით თხმელის თუ აკაციის სარებს, ღობისათვის თუ ვენახის ჭიგოსათვის. თუკი ნახავდა თავისიც ამოსულ პატარა თესლნერგებს, რგავდა ბოსტანში. როცა დასამყნობი წამოიზრდებოდა სხვადასხვა ჯიშის ვაშლს, მსხალს დაამყნიდა და შემდეგ ეზოში რგავდა.

ჩვენთან, წითელმთაში ბალი ვერ ხარობდა, ალბათ ბჟუჟიდან მონაბერი ცივი ჰაერი უშლიდა ხელს. მდინარე ბჟუჟი წყალდიდობისას ხშირად იცვლიდა საზღვრებს და მოსახლეობას აზარალებდა.

ჩემს მახსოვრობაში მამაჩემს სულ ჰყავდა ფუტკარი, ჰქონდა თაფლი, ხდიდა სანთლის არაყს, რომელსაც მეზობლებსაც აწვდიდა.

მამაჩემი კიდევ ერთ სასიკეთო საქმეს აკეთებდა —ჭალაში ეძებდა საწისქვილე ქვებს, რომელსაც მორეკავდა, მისცემდა დოლაბის ფორმას. იგი ამ ქვებს არ ჰყიდდა — ჩუქნიდა საჭიროებისამებრ.

მამას ეზოს გარდა 3,5 კილომეტრის დაშორებით წილში რგებული მიწა ჰქონდა 0,5 ჰექტარზე, სადაც 20 ძირი დემირა ვაშლი ირგო. შემოდგომაზე ხიდან ჩამოყრილ ვაშლს - ურმით ეზიდებოდა. მოიტანდა, ჩაყრიდა ჭურებში და საარყედ ამზადებდა.როცა იგი ამჟავდებოდა, არაყს ხდიდა. ყველა ოჯახს სჭირდებოდა არაყი. 1962 წლამდე სოფელში თითოეულ კომლს 1 ჰექტარი მიწა ჰქონდა. ჰყავდათ რამდენიმე ძროხა, ხარები და ა.შ.

ამ წელს ნიკიტა ხრუშოვის რეფორმა ძალიან მძიმე გახლდათ გლეხებისათვის. გლეხს სოფლად შეეძლო მხოლოდ 0,5 ჰექტარი მიწა ჰქონდა და ერთი სული პირუტყვი ჰყოლოდა. ხრუშოვის „რეფორმამ“ გააღარიბა სოფლები.

მამა პავლე თოდრაძე 1893 წლის 12 ივლისს —პეტროპავლობას დაიბადა.. 5 წლის ასაკიდან მზრდიდა და 58 წელი ზრუნავდა ჩემს კეთილ-

გვ—6

გახსენება

ცისანა ქაშაკაშვილი

სევდიანი მოგონებებით ორმოცი დღე გავიდა უკეთილშობილესი ქალბატონის **ცისანა ქაშაკაშვილის** გარდაცვალებიდან.

1965 წელს, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ქალბატონი ცისანა მუშაობას იწყებს აგრონომად ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ანასეულის საცდელ მეურნეობაში. 1968 წლიდან იგი ამავე ინსტიტუტის სელექციის განყოფილების მეცნიერი თანამშრომლია, ხოლო 1969-1972 წლებში ინსტიტუტის ასპირანტი. 1974 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი, 2004 წლიდან კი იგი აკადემიური დოქტორია.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ემსახურა ქალბატონი ცისანა სუბტროპიკული კულტურების სელექციას და ჯიშმცოდნეობას. ჩატარებული მეცნიერული კვლევებისა და საცდელი სამუშაოების შედეგად მის მიერ გამოქვეყნებულია 100 - მდე სამეცნიერო ნაშრომი და რეკომენდაცია, კოლეგებთან თანაავტორობით დარეგისტრირებული აქვს რამდენიმე ახალი სელექციური ჯიში. მის მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე შემუშავებულია და წარმოებაში დაინერგა ციტრუსოვანთა რიგი სელექციური ჯიშფორმა.

მნიშვნელოვანია ქალბატონი ცისანას დამსახურება და წვლილი ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების აღზრდაში. მათი უმრავლესობა წარმატებით აგრძელებს აკადემიურ საქმიანობას ქვეყნის სხვადასხვა უნივერსიტეტში.

ბოლო წლებში, კოლეგებთან ერთად, ქალბატონმა ცისანამ დიდი სამუშაო გასწია სტუდენტებისთვის სრულიად ახალი სახელმძღვანელოს - „მუტაციები და ფორმათწარმოქმნის პროცესები ციტრუსოვნებში“ შექმნაზე. სამწუხაროდ დასტამბული სახით ამ კაპიტალურ ნაშრომს მისი კეთილი ხელი ვერ შეეხო.

დავკარგეთ ქალბატონი ცისანა, ჩვენი ციცო, მარადისობაში გადავიდა ადამიანი შემკული ქართველი ქალის ყველა ღირსებით. წავიდა და დიდი ტკივილი დატოვა ოჯახის წევრებსა და ახლობლებში, კოლეგებში.

მშვიდობით ძვირფასო ქალბატონო ციცო, თქვენი უწყინარი სახე სამარადისოდ დარჩება ჩვენს გულებში.

ანასეულელი მეგობრები და კოლეგები

გულსუნდა მახარაძე იუწყება ღირსეული ქალბატონის, **თამარ ჩხაიძის** გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მოგონებები

დღეობაზე. ძალიან პროგრესული პი-როვნება იყო და იცოდა სწავლა-განათლების ფასი. მას რუსულენოვანი ორკლასიანი სკოლა ჰქონდა დამთავრებული.

1942 წელს გაგანია ომი იყო. მამამ უფროსი ქალიშვილი ნადია გაუშვა ბათუმში, ახლადაარსებულ პედაგოგიურ სასწავლებელში, რომელიც მაშინ 2-წლიანი იყო.

შემდეგ ბათუმის პედსასწავლებელი 4-წლიანად გადაკეთდა, რომელიც მომდევნო დამ – ვალიდამ დაამთავრა, რომელიც სწავლის დასრულების შემდეგ 5 წლით გაამწესეს ზემო აჭარაში სამუშაოდ. ეს ოჯახისთვის ძალიან სასარგებლო იყო, რადგან კარგი ხელფასი ჰქონდა და ოჯახსაც ეხმარებოდა. იგი მრავალშვილიან ოჯახში ცხოვრობდა, რომელიც მასთან, ჩვენს ოჯახთან მეგობრობდა, მამაჩვენს-პავლეს დიდ პატივს სცემდნენ.

ვალიდა ახლა 96 წლისაა.

მამას უყვარდა საიუბილეო დღეების, მრგვალი თარიღების აღნიშვნა. მეზობლებს დაიხმარდა, შეყრიდა ნათესავ-მეზობლებს, მოიყვანდა ფოტოგრაფს და ძალიან სასიამოვნო სამახსოვრო სურათები გვრჩებოდა, რომელიც შემდგომში სხვებისთვისაც გადამდები გახდა.

მე სწავლული აგრონომი ვარ და წლების მანძილზე ვმუშაობდი ანასეულის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. ვარ ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი. 5 წელი ვიყავი შეყვარებული და 21 წლის ასაკში შევქენი ოჯახი. ჩემი მეუღლე-ვაჟა ჭანუყვაძე ღირსეული ადამიანი იყო.

დედის სითბო თითქმის არ მახსოვდა და სიყვარულიც არ ვიცოდი სათანადო დონეზე, მაგრამ ჩემმა ღირსეულმა მეუღლემ შემიყვარა, მასწავლა სიყვარული, თანადგომა, ურთიერთობა და ოჯახის პატივისცემა.

სიღარიბეში, შრომაში სახლიც შევიძინეთ და საზოგადოებაშიც ადგილი დავიმკიდრეთ.

ვაჟამ 1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გერმანული ენის ფაკულტეტი და იმავე წლის 10 ოქტომბერს დავქორწინდით. შეგვეძინა შვილები –მაია, მანანა.

გვყავს 5 შვილიშვილი : გია, თამუნა, მარიკა, ნინო, სალომე (ყველა უმაღლესი განათლებით).12 შვილთაშვილი.

გია ოთხი ვაჟკაცის მამაა. უფროსი თემური წელს მოეწყო კახა ბენდუქიძის უნივერსიტეტში, ჩემი სპეციალობით –„სწავლული აგრონომი“. ანასტასია კი–არქიტექტურულზე.

ვაჟა მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობაზე. იყო რეგიონული გაზეთის განყოფილების გამგე, რაიკომის საერთო განყოფილების გამგე, თეატრის დირექტორი, ბოლოს კი – ოზურგეთის პოლიგრაფიული გაერთიანების გენერალური დირექტორი.

ვაჟას სიცოცხლის ბოლო 7-8 წელი მოციმციმე არითმია აწუხებდა. ბოლომდე შრომისუნარიანი იყო და ავადმყოფობას არ ეპუებოდა. იგი 2009 წლის დეკემბერში გარდაიცვალა.

დედმამიშვილებიდან ძმა გურგენი ნაადრევად გარდაიცვალა. ნადიას ოჯახს სოფელ გომში ჰყავს შვილები, შვილიშვილები. ვალიდას (დაიბადა 1927 წელს) ჰყავს უმაღლესი განათლება მიღებული შვილები და შვილიშვილები.

გაგიკვირდებათ და დღესაც მაინტერესებს პოლიტიკა. მინდა მოვესწრო, რომ უკრაინამ დაამარცხოს ბოროტების იმპერია – რუსეთი. ხოლო ახლა მოუთმენლად ველოდებით ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს. ციცი, ეს ყოველივე ჩვენი შთამომავლობის კეთილდღეობაზე აისახება.

მერი თოდრაძე,
სოფ. შემოქმედი

სკანვორდი



პასუხები:

ხეოგაზეთი: ფეთრანეფი; ბეჭათაკი; ანანასი; ალბანეთი; ალბანელი; ალბანელები; ალბანეთი; ალბანელი; ალბანელები; ალბანეთი; ალბანელი; ალბანელები

ილია ჭავჭავაძის მკვლელობა

დასაწყისი „ალიონი“ №17-21,23-27



1914 წელს ილიას შესახებ წაკითხული ლექცია პეტრე გელეიშვილმა თბილისში ცალკე წიგნად გამოსცა სათაურით — **„ილია ჭავჭავაძე, როგორც მხატვარი და პუბლიცისტი. ლექცია პეტრე გელეიშვილისა"** ეს ნაშრომი (ლექცია) არ იმსახურებს დაწვრილებით განხილვას. მოვიტანთ რამდენიმე ფრაგმენტს ლექციიდან:

— „ილიაზე წერა და ლაპარაკი დღეს მონოპოლიად გამხდარა ჩვენი საზოგადოების იმ ნაწილისთვის, რომელიც თავის თავს მის მოწაფეთ და მის სულიერ მემკვიდრეთ აღიარებს;"

— „მართალია, ჩვენ ილიას ვებრძოდით; მართალია, ჩვენ დღესაც ვებრძვით და ვეწინააღმდეგებით მის საზოგადოებრივ იდეალებს, მაგრამ ჩვენ მას მაინც დიდ პატივსა ვცემთ, როგორც დიდ პოეტს, როგორც ქართული ლიტერატურის დამამშვენებელ მწერალს, როგორც ქართული კულტურის დიდ მუშაკს;"

— „ამნაირათ, ჭავჭავაძის საქართველოს სოციალური ფორმულა მარტივია: გუთანი და ხმალი და მათზე დაყენებული სამეფო გვირგვინი!"

— „ერი, მთელი ქართველი ერი, განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა! ეს არის ილიას სათაყვანო საგანი, მისი პოეზიის, მწერლობის და სიცოცხლის მიზანი; ეს არის მისი სიმბოლო სარწმუნოებისა. მაგრამ ერი ხომ ერთი დიდი ჩარჩოა, რომელშიც მოთავსებულია მისი სხვადასხვა ნაწილები, უჯრედები, სხვადასხვა წოდება, თუ კლასები. როგორი განწყობილება არსებობს ამ სხვადასხვა ნაწილთა შორის? როგორ შეიძლება ყველა ამათი ერთ ჩარჩოში მოთავსება? ილიასათვის ეს კითხვები არ არსებობს, ის ყოველგან გვერდს უხვევს მათ. ის ფიქრობს მხოლოდ ქართველ ერზე და არა ამ ერის შემადგენელ სხვადასხვა ნაწილებზე; "

— „ჩატეხილი ხიდის" გასამართლებლათ ილიას ერთ უდიდეს საშუალებათ მიაჩნდა უმაღლესი წოდების ისტორიული ნამსახურობის აღდგენა. ამიტომაც მას ისტორიისათვის უნდა მიემართა; მაგრამ რაკი მან იქ ხელსაყრელი მასალა ვერ იშოვნა თავისი ერთხელ და სამუდამოთ გამომუშავებული აზრის დასამტკიცებლათ, ძალა-უნებურად მიჰყო ხელი წარსულის იდეალიზაციას. მან ხელი მიჰყო ქართველი მეფეებისა და უმაღლესი წოდების ხალხისათვის თავ-დადების გამოხატვას;"

— „ქვეყანა ინგრეოდა (იგულისხმება 1905 წელს დაწყებული რევოლუცია — **ვ. გ.)** და ილია ელლინურის სიმშვიდით და აღუშფოთველობით მოითხოვდა თავის ერთხელ შემოღებული ბუღგალტერიის სისტემის დაცვას. გლეხები იბრძოდნენ ძველი ფეოდალური ვალდებულობის — ღალა-კულუხის მოსასპობლათ; ილია კი არა თუ ამ გადასახადების მოსპობასა და გლეხებისათვის ტვირთის შემსუბუქებას არ ფიქრობს, პირიქით ახალ ვალდებულებას აკისრებს — ბუღგალტერია კარგათ დამაყენებიეთ და მით შეძლება მომეცით ჩემი შემოსავლის რაოდენობა ვიცოდეო!"

— „ილია ისეთ დროსაც კი, როგორიც იყო წარსული ბრძოლა (1905 წლის რევოლუცია - **ვ. გ.**) გლეხებსა და მებატონეებს შორის, ვერ შერიგებოდა არა თუ ლაღა-კულუხის მოსპობის აზრს, ის ვერ შერიგებოდა იმ აზრსაც კი, რომ მის ბუღგალტერიის კარგათ დაყენების სურვილის განხორციელებას, რომელიც გლეხებისთვის სულაც არ იყო სავალდებულო, ეს უკანასკნელები ხელს არ შეუწყობდნენ;"

— „ილიას ძველი საქართველო დამარცხდა... ის მოკვდა და ალაგი ახალ საქართველოს დაუთმო.

ძველ საქართველოსთან ერთად დამარცხდა მისი დაუღალავი იდეოლოგი ილიაც. ის ვერ შეურიგდა ამ დამარცხებას. ის, როგორც გმირი მეზღვაური, ბოლომდე დარჩა მის დასაღუპავათ განწირულ გემზე, მაშინაც კი, როცა იგი ყველამ მიატოვა განრისხებული ტალღების კერძათ.

ილია დარჩა მარტოთ-მარტო, უმწეო, უამხანაგო, უკარისკაცო და მარტოთ-მარტო დაიღუპა!"

ასე შეაფასა პეტრე გელეიშვილმა ილიას ნაზრევი და ნაღვაწი, ასე გაიაზრა ილიას ადგილი საქართველოს ისტორიაში, მისი მნიშვნელობა მომავალი თაობებისათვის.

7. **მალაქია ტოროშელიძე.** ქართველი სოციალ-დემოკრატების (ნოე ჟორდანიას, ფილიპე მახარაძის, კარლო ჩხეიძის, პეტრე გელეიშვილის) ნაწერებისაგან აშკარად გამოირჩევა ცნობილი სოციალ-დემოკრატის (ბოლშევიკის), **მალაქია ტოროშელიძის,** ნაშრომი **„ილია ჭავჭავაძის შემოქმედება და მისი ნაწერების საერთო ხასიათი.**" ეს წიგნი ფსევდონიმით „მ. ტ—ძე" 1914 წელს დაიბეჭდა სამტრედიაში.

მალაქია ტოროშელიძეც სოციალ-დემოკრატი იყო, მაგრამ მისი კრიტიკა ზომიერია. ავტორი არ ცდილობს აბუჩად აიგდოს, განაქიქოს ილიას ნაზრევი და ნაღვაწი. ამასთან ერთად, მალაქია ტოროშელიძე ილია ჭავჭავაძეს, საერთოდ, სამოციანელთა თაობას და მთელ ეპოქას XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან XX საუკუნის დამდეგამდე, სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიაზე დაყრდნობით აფასებს.

მალაქია ტოროშელიძე ილია ჭავჭავაძისა და XIX საუკუნის 60-იანი წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული (სამოციანელთა) თაობის შეფასებისას სვამს კითხვას: „როგორ მოხდა, რომ მაშინდელმა თაობამ ალღო ვერ აართვა ცხოვრებას და გლეხობის სიკეთის მსურველი, მისი მხურვალე მოამაგე სრულებით დაშორდა მას თავისი პროგრამით. აქ ორი კითხვაა: რატომ ვერ გახდა ის გლეხობის იდეოლოგი და რათ შეიქმნა ის უტოპისტური." ცხადია, ამგვარი პოზიციის გამოვლენის შემდეგ ჩვენ აღარ უნდა ველოდეთ ილიას ნააზრევისა და ნაღვაწის ობიექტურად შეფასებას. ტოროშელიძე ილია ჭავჭავაძისა და სამოციანელთა თაობის სოციალურ ორიენტაციას ზოგადად ასეთ შეფასებას აძლევს: „თ.-აზნაურობიდან გამოსული, ჩვენი რიცხვითმცირე ინტელიგენცია, ეკონომიური კითხვების გადაწყვეტაში სავსებით შეეთანხმა იმ კლასს, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა მისი, როგორც პროგრესული ძალის, მისია იყო." რა გამოდის? ილია და სამოციანელები მაშინ იქნებოდნენ პროგრესული მოღვაწეები, თუ თავადაზნაურობის წინააღმდეგ გლეხობის ბრძოლას ჩაუდგებოდნენ სათავეში? ესაა წმინდა სოციალ-დემოკრატიული დე-მაგოგია. მსოფლმხედველობრივად მცდარია ტოროშელიძის კიდევ ერთი დასკვნა. ავტორის აზრით, ილია და სამოციანელები თავიდანვე **„ნაციონალისტურ ნიადაგზე"** დადგნენ. ცხადია, ეს ტოროშელიძეს უარყოფით მოვლენად მიაჩნია, მაგრამ მთავარი ეს კი არაა, არამედ ის, რომ „ამ მომენტით (ნაციონალისტური ნიადაგით) თვალსაჩინოთ აიხსნება ის გარემოება, რომ ჩვენი ინტელიგენცია ვერ გახდა მებრძოლი ბატონ-ყმობის წინააღმდეგ."როგორც ვხედავთ, ავტორი ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე აცხადებს, რომ ილიასა და მისი თანამოაზრეების პოზიციის უმთავრესი ნაკლი ის იყო, რომ მოღვაწეთა ეს თაობა ეროვნულ ნიადაგზე იდგა და ხმალამოღებული არ ებრძოდა ბატონყმობას.

მალაქია ტოროშელიძე ცდილობს გაარკვიოს: „საიდან წარმოიშვა და რას წარმოადგენდა ნაციონალური ნიადაგი?" ამ მიზნით ავტორი ერთმანეთს უპირისპირებს საქართველოს ისტორიის ორ ეპოქას — XIX საუკუნის 30-40-იან წლებსა და XIX საუკუნის 60-იან წლებს. ნაშრომში ვკითხულობთ: „აიღეთ მეორე მხრით მაშინდელი პოეტების — ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის ნაწერები: თქვენ იქ სანთლითაც ვერ იპოვით იმას, რაც შედაგენს მე-60 წლების ნაციონალისტების (მათ შორის ილია ჭავჭავაძის - ვ. გ.) სულსა და გულს. პირიქით, ნ. ბარათაშვილი მსოფლიო მოტივებით სულდგმულობს და არა ნაციონალისტურით. აშკარაა, მე-60 წლების ნაციონალიზმი, რომელიც შეიმუშავეს ამ ეპოქის მოღვაწეებმა და რომელიც ასე ძვალ-რბილში გაუჯდა ქართველობის ერთ ნაწილს, რომ უმისოდ ქართველობის არსებობა ვერც ახლა და ვერც უწინ ვერ წარმოუდგენიათ, ეს ნაციონალიზმი ქართველების თანდაყოლილი თვისება არ ყოფილა." ცხადია, სრულიად უადგილოა ნიკოლოზ ბარათაშვილსა და ალექსანდრე ჭავჭავაძესთან ილიას შედარება, ამ ორი განსხვავებული ეპოქის მოღვაწეთა შეხედულებების დაპირისპირება. ძნელი მისახვედრი არ უნდა ყოფილიყო ის, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილიც, ალექსანდრე ჭავჭავაძეც და ილია ჭავჭავაძეც სამშობლოს გულმხურვალე პატრიოტები იყვნენ.

საბოლოოდ, მალაქია ტოროშელიძე ილიას შემდეგ ბრალდებებს უყენებს:

1. გლეხობის ინტერესების უგულებელყოფა;

2. თავადაზნაურობის ინტერესების დაცვა, ბატონყმობის გაიდეალება;

3. ქართული ნაციონალიზმის იდეოლოგობა;

4. ზოგადსაკაცობრიო იდეებზე („მსოფლიო მოტივებზე") უარიის თქმა.

ილია ჭავჭავაძის ნაზრევისა და ნაღვაწის უარყოფის მცდელობა სრულიად გარკვეულ პოლიტიკურ ძალთა შეკვეთას წარმოადგენდა, ამიტომ იგი უწყვეტად გრძელდებოდა დიდი ხნის განმავლობაში, ხოლო ახალი ძალით იფეთქა 1921 წლიდან.

ტერორისტული აქტები და პოლიტიკური მკვლელობები 1905 წლის რევოლუციისა და მის შემდგომ წლებში

ტერორისტულ აქტებსა და პოლიტიკურ მკვლელობებს 1905 წლის რევოლუციისა და მის შემდგომ ხანებში დიდი გასაქანი მიეცა. რუსეთში ყველაზე ძლიერი ტერორისტული ორგანიზაციები გააჩნდათ სოციალისტ-რევოლუციონერებსა და ანარქისტებს. საქართველოში ძლიერი **„საბრძოლო ორგანიზაცია"** (იგივე ტერორისტული ორგანიზაცია) შექმნეს სოციალ-დემოკრატებმა (ამ შემთხვევაში მენშევიკები და ბოლშევიკები ერთად მოქმედებდნენ). 1905-1906 წლებში, თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს მონაცემებით, მხოლოდ თბილისში სოციალ-დემოკრატების საბრძოლო ორგანიზაციას 50-55 ტერორისტი ჰყავდა, რომელთა უმრავლესობას ნებისმიერი სირთულის ტერორისტული აქტის განხორციელება შეეძლო. ჟანდარმერიამ ტერორისტების უმრავლესობის ვინაობა(სახელი და გვარი) იცოდა, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო მათ შეპყრობას ვერ ახერხებდა. სოციალ-დემოკრატების საბრძოლო ორგანიზაციამ 1906 წლის 16 იანვარს თბილისში, ალექსანდრ ბარიატინსკის ქუჩაზე, ბომბის აფეთქების შედეგად მოკლა კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის უფროსი გენერალ-მაიორი **ფიოდორ გრიაზნოვი**(1855–1906). ცნობები არ არის იმის შესახებ, თუ რამდენი ტერორისტი ჰყავდა აღრიცხული ქუთაისის ჟანდარმერიის სამმართველოს. უნდა ვივარაუდოთ, რომ ქუთაისის გუბერნიის ტერიტორიაზე თბილისთან შედარებით გაცილებით ნაკლები ტერორისტი იქნებოდა, თუმცა ქუთაისსა და ბათუმში 1905-1906 წლებში რამდენიმე ცნობილი ტერორისტი მოღვაწეობდა. 1905 წელს ქუთაისში, ჯაჭვის ხიდთან, ტერორისტები თავს დაესხნენ დამსჯელი ექსპედიციის მეთაურს, გენერალ-მაიორ **მაქსუდ (ალექსანდრ) ალიხან (ალიხანოვ)-ავარსკის**(1846-1907), თუმცა წარუმატებლად. ქუთაისის გუბერნიის ტერიტორიაზე 1905-1907 წლებში განხორციელდა რამდენიმე ტერორისტული აქტი, რომელთა უმრავლესობა წარმატებით დასრულდა. სოციალ-დემოკრატების შემდეგ სიძლიერით მეორე ტერორისტული ორგანიზაცია ჰქონდათ ესერებს, რომელთაც რევოლუციის წლებში წარმატებით განახორციელეს რამდენიმე ათეული ტერორისტული აქტი. ესერები ტერორს, როგორც ბრძოლის ერთ-ერთ ფორმას, აღიარებდნენ, რაც შეეხება სოციალ-დემოკრატებს, ისინი ოფიციალურად ტერორს ემიჯნებოდნენ, თუმცა პრაქტიკულად ტერორის ტაქტიკას უფრო მეტად იყენებდნენ, ვიდრე ესერები. ეს შეეხება როგორც მენშევიკ, ისე ბოლშევიკ სოციალ-დემოკრატებს.

ტერორისტული აქტი და პოლიტიკური მკვლელობა საყოველთაოდ ცნობილი სქემით ხორციელდებოდა: **ტერორისტული აქტის დამკვეთი — ტერორისტული აქტის ორგანიზატორი — ტერორისტული აქტის უშუალო განმხორციელებელი(ტერორისტი)**. ტერორისტული აქტის დამკვეთმა ზედმიწევნით ზუსტად იცოდა როგორც ტერორისტული აქტის ორგანიზატორთა, ისე უშუალო შემსრულებელთა ვინაობა. ტერორისტები იცნობდნენ აქტის ორგანიზატორთაგან მათთან მიგზავნილ პიროვნებას(საქმის მიმცემს), მაგრამ არავითარ შემთხვევაში—არც ტერორისტული აქტის ორგანიზატორებს და არც ტერორისტული აქტის დამკვეთებს. ამიტომ იყო, რომ ტერორისტული აქტის განხორციელებისას ან შემდგომ ხანებში დაპატიმრებულმა ტერორისტებმა ვერასდროს დაასახელეს ვერც ტერორისტული აქტის ორგანიზატორები და ვერც ამ აქტის დამკვეთები. ძიება და სასამართლოც უძლური ხდებოდა, დაედგინა ჭეშმარიტება. ამ მიზეზებმა განაპირობა ის, რომ ბევრი ტერორისტული აქტისა და პოლიტიკური მკვლელობის მნიშვნელოვანი დეტალები დღესაც კი უცნობია.

(გაგრძელება იქნება)

ვახტანგ გურული

(საქართველოს ახალი ისტორია, . (1801-1918) წიგნი 3; გვ: 553-556

ბიბლიური კონცეპტები გენრიეტა ქუთათელაძის პოეზიაში



„ალბათ, ბედის საჩუქარი იყო — მთელი ბავშობა ია-იებით მოყვავილე მინდორში გავატარე. გაზაფხულის ფერად-ფერად ყვავილებს შევხაროდი და გაოცება მიჰყრობდა - რამ შექმნა ასეთი მშვენიერება-მთელი“ (ქუთათელაძე, 2013:2) - ეს გაოცება სამყაროთი ასაზრდოებს გენრიეტა ქუთათელაძის პოეზიას და კიდევ: პასუხის ძიება კითხვაზე: რამ თუ ვინ შექმნა ეს უთვალავი ფერით შემკული სამყარო, რა ადგილი უჭირავს მას ადამიანის ცხოვრებაში, როგორია მისი მიმართება უზენაესისადმი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემისათვის პოეტი იყენებს ბიბლიურ კონცეპტებს, ცდილობს მათი მეშვეობით ჩასწვდეს იდუმალის, უხილავის არსს. მას ეჭვიც არ ეპარება, რომ ეს სამყარო ღვთის საუფლოა და სამუდამო წყევლითაა დაღდასმული ის, „ვინაც „ვერცხლი არჩია უფალს“ (ქუთათელაძე, 2013:11) [შემდგომში ციტატებს მოვიყვანთ ამ გამოცემიდან, მივუთითებთ მხოლოდ გვერდებს], *ვისაც ცნობიერება აქვს დახშული და ვერც გონებით, ვერც - გულით ვერ წვდება და ვერ შეიგრძნობს უფალს, თვალხილულიც ბრმა, რადგან დაუკარგავს უნარი ღმერთით ავსებული სამყაროს დანახვისა. ამ ნიჭს მოკლებული დედამიწელი კი უფლის შეცნობასთან ერთად კარგავს საკუთარი „მეს“ შეცნობის უნარსაც, რადგან „დემიურგი თუ უკვდავი სული, / ყოველ ჩვენგანში იბუდებს სახეშეცვლილი“* (12). უფლის რწმენის გარეშე ადამიანი ინდივიდუალობას კარგავს, იმ ათასის მსგავსი ხდება, რომელნიც სახედაკარგულნი, სკეპტიციზმის ნიღაბმ-ორგებულნი უგზოუკვლოდ დაეხეტებიან ქაოსურ სამყაროში, ვერაფერს ხედავენ და ვერაფერს გრძნობენ, სულამოცლილ განტენაინებად და „ჰომო ფაბერებად“ ქცეულან, სინამდვილეს თვალს ვერ უსწორებენ და ილუზიათა სამყაროს მარადიულ მკვი-დრებად რჩებიან, კარგავენ ფასდაუდებელ განძს - დროს, რადგან:

„*დრო თვით ღმერთია, ალბათ, და თავად სიყვარული,*

ღმერთო, რამ გაყო მართლაც, ღმერთი და სიყვარული.“ (14)

უზენაესი უგზავნის ადამიანებს ვაჟასა და გალაკტიონს, რათა მათ ყველა დროში შეძლონ თეთრად გადაფოფქული ტყემლებითა თუ ატმის ყვავილების ბილილებით ტკბობა, ჩამავალი მზის მშვენიერებითა თუ მოსარკული ცით აღფრთოვანება, უფლის გვირგვინის — ადამიანის სულისა და გრძნობის იდუმალი ფიქრების ამოცნობა და, რაც მთავარია, უფლის უმთავრესი გზავნილის გათავისება: „*კაცნო, გიყვარდეთ ერთმანეთი!*“ (15). მხოლოდ ამ პრინციპით შეიარაღებულ ამქვეყნად მცხოვრებთ არ ეშინიათ სიკვდილის, რომელიც შესაძლოა, „*ყველაზე დიდი მოგზაურობა იყოს სამყაროში*“ (27).

თითოეულ ადამიანს კი გასავლელ გზაზე თავისი წილი გოლგოთა ელის: „*წინ გოლგოთაა, გასავლელია ეს გზა ბოლომდე...*“ (32) - ამ გზაზე კი მხოლოდ უფალია მისი შემწე, უფალი, რომლის ნაჩუქარი სიცოცხლის ყოველი წუთი ასე ძვირფასი და განუმეორებელია, ვისაც შეუძლია სამყაროს მორთვა ცისარტყელას ფერებით და დაუვიწყარი წუთების მოძღვნა:

„*მე მოწიწებით დავხარე თავი, ბედნიერი ვარ, უფალო ჩემო,*

რა იშვიათი დამდე პატივი, დაუვიწყარი მაჩუქე წუთი“ (39).

ღმერთი სიყვარულია, სიკეთეა, სინათლეა, რომელსაც ძალუძს ბოროტების, სიძულვილის, სიბნელის გარდაქმნა, ამიტომაც ევედრება მას პოეტი, რომ ამქვეყნად მომრავლებულ ავთვალეს, ავენს, ავგულებს:

„*ღმერთმა ხელი მოუმართოს, გული*
გამოეცვალოს...

შინაურს და გარეულსა, თვალშავს და
თვალჭრელას,

ავი თვალით მოთვალთვალეს, ავი
თვალით შემხედავს,

ღმერთო, ხელი გაუწოდე, გული
გაუკეთილე!“ („ვედრება“, 28).

პოეტის რწმენით ხომ, მხოლოდ უფალს ძალუძს შექმნას სულდიდი, კეთილშობილი, მაღალზნეობრივი ადამიანი:

„*სიტყვანატფი, კეთილაღნავი,*

მავანისთვის თავდადებული,
მოსიყვარულე,

ქველი და ბრძენი,

მართლა ღვთიური...“ (61).

უფლის სამყოფელიც მის მიერვე შექმნილი ადამიანია:

„*ღმერთი თქვენშია, ყოველ თქვენგანში,*

მთელი სამყარო!

მთელი ბუნება ღმერთია თავად.“ (2003:38)

უზენაესის სიდიადეს პოეტი ბუნებაშიც ხედავს: მიწიდან ამომსკდარი ბალახი, ყვავილების ხალიჩად ათასფერად მოქარგული მინდორ-ველები, კლდიდან ჩანჩქერად გადმოჩქეფი ნაკადები, ცაზე კვარებივით ანთებული ვარსკვლავები, „ღრუბლის მდელოზე აცეკვებული სხივი“ და ცის ღიმილი (2003:101), უფლის პირიდან გადმოფენილი მოქარგული სიტყვები, აისი თუ კუნაპეტ ღამეს ცაზე გავლებული ვერცხლისფერი ბილიკები, ოკეანის ტალღების გუგუნი - უფლის არსებობის დასტურია. უფლის სახე ირეკლება იმ რწმენაში, სიკეთესა და სიყვარულში, რომლის გარეშეც მოკვდავს გაუჭირდება ამქვეყნად არსებობა, ჯოჯოხეთად ექცევა ყოველი დღე...

შემოქმედი მხოლოდ მაშინაა ბედნიერი, როცა უფლის რწმენით სავსეს ეწვევა ზეშთაგონება, ისევ უფლის მოგვრილი და მაშინ:

„*ბედნიერი ვარ, უფალო ჩემო, კამკამებს სული, შუქში კამკამებს,*

ვხედავ სამყაროს შენით ავსებულს,

შენს უკრობ თვალებს - მზესა და მთვარეს.“ (60)

მაგრამ, სანამ „*ღვთის ნაპერწკალი გაღვივდება ყველა თქვენგანში,*“ სანამ „*კაცში ღმერთი გაიღვიძებს*“ (62), უამრავი თაობა შეიცვლება, რადგან პოეტის მიწიერი არსებობის დრო — უღმერთო, რწმენას მოკლებული ეპოქაა, ფარისეველთა და მებაჟეთა აღზევების დროა, შესაბამისად, ჯვარცმის მისტერიაც - სხვადასხვა სიდიდისა თუ მნიშვნელობის - მარადიულად მეორდება:

„*ეს მერამდენედ დამხურეს გვირგვინი ეკლის,*

ეს მერამდენედ გამკრეს ჯვარზე.“ *(66)*

უფლის ყველაზე მკაცრი განაჩენიც არ იგვიანებს და ესაა:

„*მარადი ყოფნა დედამიწაზე,*

არასდროს რომ არ ხუკდები და არცა კვდები,

ვერ ეკონები დედამიწას უთბილეს გულში...“ (75)

საინტერესოა გენრიეტა ქუთათელაძის მიერ ბიბლიური ცეცხლმოდებული მაცვლის ბუჩქის კონცეპტის გააზრება. ამ ბუჩქის წინაშე სიცოცხლის მანძილზე ერთხელ მაინც აღმოჩნდება ადამიანი, აი, სწორედ მაშინ მთელი გულისყურით უნდა მოისმინოს მან უფლის რჩევები, არ უნდა დაკარგოს მის მიერ მომადლებული წინასწარჭვრეტის ნიჭი.

აღთქმული ქვეყანა - ქანაანი, ერთი უმთავრესი ბიბლიური კონცეპტია, რომელიც ანდამატივით იზიდავს ყველას და რომელიც კვლავ და კვლავ შეახსენებს ადამიანებს, რომ: „*თავისუფლებას ვერ მიაღწევ თურმე უმსხვერპლოდ,*

თავგანწირვის და რწმენის გარეშე.“

ფუძემდებლური ბიბლიური კონცეპტები, რა თქმა უნდა, უმთავრესი ბინარული ოპოზიციის შემადგენელი წევრებია: სიკეთე და ბოროტება - მათი ურთიერთმიმართება, ბრძოლა, გამარჯვება თუ დამარცხება განსაზღვრავს ამქვეყნიურ წესრიგს, კოსმოსსა და ქაოსს. ყველაზე საშიში კი ისაა, „*როს ბოროტება აყვავილდება სიკეთესავით!*“ (37). ამიტომაც ყველა მორწმუნემ „*ბოროტებას სიყვარულის ზღუდეები*“ (2003:49) უნდა აუგოს, რათა უკეთურობამ, უზნეობამ, უღირსობამ არ წალეკოს ქვეყნიერება.

ბიბლიური პერსონაჟები მარადიული, თან ახლებური შუქით ბრწყინავენ გენრიეტა ქუთათელაძის პოეზიაში: ებრაელთა მეფე - საული - სულიერებასა და ესთეტიკურ ტკბობას დანატრებული, სწორედ მუსიკის ჯადოსნურმა ხმებმა დააშშიდა, მოაბრუნა სიკეთისა და სიყვარულისკენ; უფლის წყალობით სავსე მომხიბლავი, ახოვანი, სულიერი და ხორციელი მშვენებით თანაბრად შემკული დავითი, რომელსაც შეუძლია თავისი ხელოვნებით ბოროტების სიკეთედ ქცევა (20); მარადიული უნაყოფო შრომისთვის განწირული სიზიფე; ევა - მარადქალურობის სიმბოლო, რომელმაც სამყაროს შეცნობის უნარი უბოძა ადამს, დატყვევებულ სულს გამაღწევინა „მარადიული დასაბამიდან“:

„*მომასმენინა მარადიული მუსიკის ხმები,*

ღრუბლის მდელოზე აყვავილა იასამნი.“ (50)

მაყვლოვანში მოქადაგე მოსე, რომელსაც შეუძლია გონების ძილისგან ადამიანის გამოფხიზლება (21), „*უფლის წყალობის გზაზე დამდგარი*“ ლოტი (22), *რომელიც განეშორა „ბოროტებისა და სიძვის სავანეს“* (22);

გენრიეტა ქუთათელაძის ლექსებში, ასევე, ხშირად ვხვდებით პირდაპირ თუ ირიბ ციტირებას ბიბლიიდან: „*ნუცა გამოფენთ მარგალიტსა წინარე ღორთა!*“ (2003:32), *არაკს მეათერთმეტე ჟამის მუშაკზე* (2003:34) და ა.შ.

ერთი მკვლევრის აზრით, გენრიეტა ქუთათელაძის „ფილოსოფიურ ლირიკაში ქრისტიანული მორალის ორიგინალურ გაზრებასაც ვხვდებით“ (ბიბლეიშვილი, 2003:259). ის გულისხმობს ჭეშმარიტი ქრისტიანის მიერ მტრის სიყვარულის მოვალეობასაც, რისი მიღებაც საკმაოდ რთულია ადამიანისთვის:

„*არ ვიცი როგორ, არ ვიცი როგორ,*

გავითავისო მტრის სიყვარული?..

ღმერთო, მიშველე, ღმერთო, მასწავლე,

ჩემი მოძულე და მაწყევარი დავლოცო როგორ!“ (81)

როგორც ვხედავთ, ბიბლიური კონცეპტები ეხმარება პოეტს ორიგინალური ფორმით გამოხატოს შემოქმედი პიროვნების მაღალზნეობრივი სულიერი სამყარო, სისხლხორცეულად განიცადოს უზენაესთან მიახლების სასწაული, შეძლოს ყოვლისშემოქმედის იდუმალი წვდომა და ამით მოგვრილი ბედნიერების, სიმშვიდის, იმედის გადაცემა მკითხველისთვის, ისევე როგორც ანა კალანდაძის პოეზიაში, გენრიეტა ქუთათელაძის ამ ტიპის ლექსებში იგრძნობა ყველაზე მმფრად ლირიკული გმირის მიერ საკუთარი სულიერი სამყაროს თვითანალიზი. ეს ანალიტიკური პოეზია, ფილოსოფიური განსჯანი, მარადიულ პრობლემებზე ჩაფიქრება კი ვერლიბრის ფორმითაა წარმოდგენილი.

უნდა გამოვტყდე: უმშვენიერეს ქართულ შაირზე გაზრდილი ვერლიბრის დიდი მოყვარული არა ვარ, მაგრამ გენრიეტა ქუთათელაძის ვერლიბრით შექმნილი პოეტური სამყარო ისეთი მდიდარია, ისეთი ნატიფი, ფაქიზი, მრავალწახნაგოვანი და მეტაფორული სახისმეტყველებით გაჯერებული, რომ მის ლექსებს სიამოვნებით ვკითხულობ და კიდევ ერთხელ ვრწმუნდები: მედიტაციური პოეზიისთვის დახვეწილი, ამასთან, სასაუბრო მეტყველებასთან მიახლოებული ფორმა ვერლიბრისა ერთ-ერთი მისაღები არჩევანია. შემოქმედი ხომ უფლისგან ბოძებულ „*ოქროცურვილ ... გრძნეულ სიტყვებს*“ ფრთხილად, ფაქიზად ავლებს (69) საკუთარი სულის ემაზში, მდიდრული ლექსიკით ქმნის ფერადოვან ყვავილწნულს — თავისი „სულის ანაბეჭდებს“ და თავმდრეკით უბრუნებს თავის მარადიულ სატრფოს — უფალს.

ზორენა მახაჭაძე
(ბათუმი, ბსუ)

„*მაღალმხედია კაცი ყოველი,*
თავისი სულის პრიზმაში რომ გადატეხს მთელ სამყაროს და განბრძნობილს
აღაფრთოვანებს ეს საკრალური დიადი წესრიგი - ბუნების ღვთაებრიობის გამოვლენა,
კაცის სულის მარადიული მოშანდაკე და შთამაგონებელი.“

გენრიეტა ქუთათელაძე

განცხადება

2023 წლის, 6 დეკემბერს, 19 საათზე, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში გაიმართება სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტის, გალაკტიონ ტაბიძის, ილია ჭავჭავაძისა და დავით აღმაშენებლის პრემიების ლაურეატის, ქართული კულტურის დესპანის, **დავით შემოქმედლის** 70 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

მონაწილეობენ ქართული მწერლობისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ვულოცავთ: — ოზურგეთის „მერცხალი“ მე-4 ლიგაში

რეგიონლიგის ბოლო ტურის მატჩი ოზურგეთის „მერცხალმა“ ჩემპიონის რანგში ჩაატარა და ქუთაისის „მართვე“ დიდი ანგარიშით — 6:11 დაამარცხა. იგი 65 ქულით რეგი-ონლიგის („ჯ“ ჯგუფი) გამარჯვებული გახდა.

ვულოცავთ!

ვულოცავთ საფეხბურთო კლუბ „მერცხალის“ მწვრთნელს სოფელ მერიაში **გია ტულუშს** დაბადების დღეს..

ვუსურვებთ კვლავაც ახალ წარმატებებს, არაერთ ტურნირში გამარჯვებას.

ღრუბელი
+7+13
30 ნოემბერი
ხუთშაბათი

მზე, ღრუბელი
+9+17
1 დეკემბერი - პარასკევი

ღრუბელი
+11+19
2 დეკემბერი
შაბათი

ღრუბელი
+12+21
3 დეკემბერი
კვირა

ღრუბელი
+8+17
4 დეკემბერი
ორშაბათი

მზე, ღრუბელი
+8+15
5 დეკემბერი
სამშაბათი

წვიმა
+7+9
6 დეკემბერი
ოთხშაბათი